



## შპს „ნაგობერი 1“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მშვიდობაურის და  
ნაგომარის მიმდებარე ტერიტორიებზე სამელიორაციო  
სისტემის და წყალშემკრები ჰიდროტენიკური ნაგებობის  
მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი

## სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი: შპს გერგილი

საქართველო თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ. კორპ 7, ბინა 13  
ტელ: 032 2 32 31 45; +995 599 16 44 69

Email: [info@gergili.ge](mailto:info@gergili.ge) Website [www.gergili.ge](http://www.gergili.ge)

დირექტორი: რევაზ ენუქიძე

ქ. თბილისი

2021 წ.



## სარჩევი

<b>1. შესავალი.....</b>	<b>4</b>
1.1 ზოგადი მიმოხილვა.....	4
1.2 საკანონმდებლო საფუძველი.....	9
<b>2. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა.....</b>	<b>11</b>
2.1 პროექტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურა .....	11
2.2 სამშენებლო სამუშაოები .....	31
2.3 გამოყენებული ტექნიკის რაოდენობა და ჩამონათვალი .....	33
2.4 დასაქმებული პერსონალის რაოდენობა და სამუშაო საათები; .....	33
2.5 დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსები .....	33
<b>3. საპროექტო ტერიტორიის გარემო პირობები .....</b>	<b>34</b>
3.1 ტერიტორიის ფონური დახასიათება.....	34
3.2 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები .....	34
3.2.1 კლიმატური ზონები და დაკვირვებების პუნქტები.....	34
3.2.2 ჰაერის ტემპერატურა.....	37
3.2.3 ტენიანობა .....	42
3.2.4 ატმოსფერული ნალექები.....	44
3.2.5 აორთქლება.....	45
3.2.6 თოვლი.....	45
3.2.7 მდინარე ბახვისწყლის წყლის ტემპერატურა.....	47
3.2.8 ქარი .....	48
3.3 გეოლოგიური გარემო.....	50
3.3.1 საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა.....	50
3.3.2 დასკვნები და რეკომენდაციები.....	56
3.4 ჰიდროლოგიური პირობები.....	57
3.4.1 მდ. ბახვისწყლის წყალშემკრები აუზის მოკლე დახასიათება.....	57
3.4.2 მდინარე ბახვისწყლის და მისი წყალშემკრები აუზის ჰიდროლოგიური შესწავლილობა.....	62
3.4.3 მდ. ბახვისწყლის წყლის ბალანსი .....	65
3.4.4 ჰიდროლოგიური საგუშაგო ქვედა ბახვი.....	66



3.4.5	ჰიდრომეტრიულ საგუშაგოდან დაკვირვებათა მონაცემების გადატანა სამელიორაციო სისტემის განთავსების გასწორში .....	70
3.4.6	მდინარე ბახვისწყლის მახასიათებლები სამელიორაციო სისტემის გასწორში .....	73
3.4.7	მდ. ბახვისწყლის სხვადასხვა უზრუნველყოფის მინიმალური ხარჯები სამელიორაციო სისტემის კვეთში .....	78
3.4.8	სამელიორაციო სისტემის მიერ ასაღები წყლის საანგარიშო ხარჯი და ეკოლოგიური ხარჯი .....	81
3.4.9	მდინარე ბახვისწყლის ნატანის ჩამონადენის სამელიორაციო სისტემის გასწორში .. .....	81
3.4.10	მდ. ბახვისწყლის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმე.....	85
3.5	ნიადაგი და ძირითადი ლანდშაფტები .....	87
3.6	ბიოლოგიური გარემო .....	87
3.6.1	საპროექტო ტერიტორიის ზოგადი ფლორისტული დახასიათება .....	87
3.6.2	საპროექტო ტერიტორიის ზოგადი ფაუნისტური დახასიათება.....	90
3.6.3	დაცული ტერიტორია .....	91
<b>4.</b>	<b>ზემოქმედების შეფასება.....</b>	<b>92</b>
4.1	ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე და ადგილობრივ კლიმატზე .....	92
4.2	ხმაურის გავრცელებით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება .....	93
4.3	ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე, ნიადაგის და გრუნტის დაბინძურების რისკი..	95
4.4	ზემოქმედება წყლის გარემოზე .....	97
4.5	ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე.....	99
4.6	ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება .....	100
4.7	ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება .....	100
4.8	ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე .....	101
4.9	ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობასა და არქეოლოგიურ ძეგლებზე.....	101
4.10	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე.....	102
4.11	მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება .....	102
<b>5.</b>	<b>დანართები .....</b>	<b>108</b>
5.1	საჯარო რეესტრიდან ამონაწერები (საკადასტრო კოდები: 26.23.26.096; 26.23.26.097; 26.23.26.098; 26.11.18.070; 26.11.18.071).....	108
5.2	საქართველოს მელიორაციის პასუხი წყალაღებაზე.....	116
5.3	გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხი წყალაღებაზე .....	117



5.4 ნიადაგის კვლევის შედეგები ..... 118



## 1. შესავალი

### 1.1 ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მშვიდობაურის და ნაგომარის მიმდებარე ტერიტორიებზე შპს „ნაგობერი 1“-ს (ს/კ 405446904) საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 26.23.26.096; 26.23.26.097; 26.23.26.098; 26.11.18.070) ჯამური ფართობით 218 455 მ<sup>2</sup> მოცვის მრავალწლიანი ნარგავების მოსარწყავად, სამელიორაციო სისტემის და წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.


მოცემულ ნაკვეთებზე მოცვის ნარგავების განაშენიანება დაგეგმილია 170000 მ<sup>2</sup> (17 ჰა) ფართობზე. მოცვის ნარგავების გაშენების და ექსპლუატაციის ეტაპზე, განსაკუთრებით წლის გვალვიან პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მორწყვის პროცესს, რომელიც უნდა განხორციელდეს წვეთოვანი სისტემის გამოყენებით. ადგილობრივი კლიმატის, ასევე, ლურჯი მოცვის გაშენება-მოყვანის სპეციფიკის თანახმად, საპროექტო 17 ჰა მიწის ნაკვეთზე ზრდასრული ნერგის შემთხვევაში წელიწადში მოსარწყავად წყლის მაქსიმალურ რაოდენობად განისაზღვრა (11525X17) 195925 მ<sup>3</sup>. 1 ჰა-ზე 3x1 სქემით (≈ 3333 ნერგი/ჰა).

ნარგავების სარწყავი წყლით უზრუნველსაყოფად ს/კ 26.11.18.070 ნაკვეთის მიმდებარედ მოეწყობა 5451.34 მ<sup>3</sup> მოცულობის წყლის რეზერვუარი, რომლის შევსება მოხდება პერიოდულად სამხრეთით მდებარე მდ. ბახვისწყლიდან. წყალაღების წერტილიდან წყალშემკრებ ნაგებობამდე მილსადენის მანძილი შეადგენს 604 მეტრს. მდინარედან აღებული წყალი მთავარი მილსადენით, სატუმბი სადგურის გავლით დაგროვდება რეზერვუარში. რეზერვუარიდან ჩრდილოეთით მდებარე წვეთოვანი-გამანაწილებელი სადგურის გავლით განხორციელდება საპროექტო მილსადენებით მიწის ნაკვეთებზე წყლის მიწოდება.

მდ. ბახვისწყლის წყლის სარწყავად გამოყენება მოხდება სეზონურად, 8 თვის (მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი) განმავლობაში.



სქემა 1.1.1 საპროექტო ტერიტორია






სურ. 1.1.1 - მოცვის მრავალწლიანი ნარგავების განთავსების ტერიტორია





**ნახაზი 1.1.1.** ნუშის ნარგავების განაშენიანების სქემა





საკონსულტაციო კომპანია შპს „გერგილი“-ს და შპს „ნაგობერი 1“-ს შესახებ ძირითადი ინფორმაცია მოცემულია ცხრილი 1.1.1-ში.

### ცხრილი 1.1.1 საკონტაქტო ინფორმაცია

პროექტის განმახორციელებელი	შპს „ნაგობერი 1“
საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ 405446904
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ.,N 83, ბლოკი ბ, ბ. 22
კომპანიის დირექტორი	ალექსანდრე ჩხიკვიშვილი
ელ. ფოსტა	<a href="mailto:bchkhikvishvili@gmail.com">bchkhikvishvili@gmail.com</a>
საკონტაქტო პირი	ალექსი ჩხიკვიშვილი
საკონტაქტო ნომერი	+995 599 285 599
<b>დაგეგმილი საქმიანობის ტიპი</b>	სამელიორაციო სისტემის და წყალშემკრების ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია.
<b>გარემოსდაცვითი საკონსულტაციო ორგანიზაცია</b>	შპს „გერგილი“
დირექტორი	რევაზ ენუქიძე
საკონტაქტო ტელეფონი	599164469
საკონტაქტო პირი	გიორგი ლაცაბიძე
საკონტაქტო ტელეფონი	+995 598 511 460
ელ-ფოსტა	<a href="mailto:g.latsabidze@gergili.ge">g.latsabidze@gergili.ge</a>



## 1.2 საკანონმდებლო საფუძველი

დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 1 პუნქტის 1.3 ქვეპუნქტით (სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია) გათვალისწინებულ საქმიანობას და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა წინამდებარე სკრინინგის ანგარიში, რომელიც წარდგენილი იქნება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა მოიცავდეს:

- მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს ამ განცხადების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას. საზოგადოებას უფლება აქვს, სკრინინგის განცხადების ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან 7 დღის ვადაში, ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით წარუდგინოს სამინისტროს მოსაზრებები და შენიშვნები ამ განცხადებასთან დაკავშირებით. სამინისტრო იხილავს საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს, ხოლო შესაბამისი საფუძველის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში იღებს მათ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სამინისტრო შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზმ-ს:

- საქმიანობის მახასიათებლები;
- საქმიანობის მასშტაბი;
- არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
- ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
- ნარჩენების წარმოქმნა;
- გარემოს დაბინძურება და ხმაური;
- საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა;
- ჭარბტენიან ტერიტორიასთან;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;



- ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
- დაცულ ტერიტორიებთან;
- მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან;
- საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი:
- ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
- ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

თუ სამინისტრო სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს არ ექვემდებარება, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.

სკრინინგის პროცედურის დასრულებიდან 5 დღის ვადაში სამინისტრო უზრუნველყოფს დასაბუთებული სკრინინგის გადაწყვეტილების თავის ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას.



## 2. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა

### 2.1 პროექტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურა

შპს „ნაგობერი-1“-ს მიერ დაგეგმილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მშვიდობაურის და ნაგომარის მიმდებარე ტერიტორიებზე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 26.23.26.096; 26.23.26.097; 26.23.26.098; 26.11.18.070) ჯამური ფართობით 218 455 მ<sup>2</sup> მოცვის მრავალწლიანი ნარგავების მოსარწყავად, სამელიორაციო სისტემის და წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

მოცვის ნარგავების განაშენიანების ტერიტორიის ფართობი შეადგენს 170000 მ<sup>2</sup> -ს (17 ჰა).

პროექტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

1. წყლის რეზერვუარი, რომელიც მოწყობა 2703.4 მ<sup>2</sup> ფართობზე, მუშა მოცულობით არაუმეტეს 5451.34 მ<sup>3</sup>;
2. წყლის 2 სატუმბი სადგური, რომელიც მოეწყობა მდ. ბახვისწყალთან და რეზერვუართან;
4. ხაზობრივი ნაგებობა - ძირითადი წყლის მილი, რომლის სრული სიგრძე შეადგენს 604 მეტრს;
5. წყლის რეზერვუარის მიმდებარედ წვეთოვანი სისტემისთვის წყლის გამანაწილებელი სადგურის მოწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით (მარტივი ტიპის ერთსართულიანი ნაგებობა და ძირითადი მილები);

### საპროექტო რეზერვუარი

ნარგავების მოსარწყავად გათვალისწინებულია კომპანიის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთის 2703.4 მ<sup>2</sup> ფართობზე მართკუთხედის ტიპის მიწაყრილის წყალშემკრები რეზერვუარის მოწყობა, ზღვის დონიდან 128.95 მ სიმაღლეზე. მოცემული ტერიტორია ხასიათდება ვაკე რელიეფით და თავისუფალია მრავალწლიანი ხე-მცენარეებისგან. მცენარეული საფარი ძირითადად წარმოდგენილია გვიმრის სახით, ხოლო ნაყოფერი ფენა 0.15 მ. სისქით, რომელიც მოიხსნება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და დასაწყობდება მიმდებარედ, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდგომ გამოყენებული იქნება რეზერვუარის ფერდების რეკულტივაციისთვის. საპროექტო რეზერვუარის ტერიტორიაზე დროებით განთავსებულია ნახერხის მასალა, რომელიც გამოყენებული იქნება მულჩირების სამუშაოებისთვის.

საპროექტო რეზერვუარიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 180 მეტრის მოშორებით, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

საპროექტო რეზერვუარის წყლით მაქსიმალური შევსების პერიოდში წყალსაცავის სარკის ფართობი იქნება 1648.5 მ<sup>2</sup>. რეზერვუარის მაქსიმალური სიღრმე შეადგენს 4.5 მეტრს. რეზერვუარის მოწყობის დროს მოხდება 1,5-2 მეტრის სიღრმეზე გრუნტის ამოღება და რეზერვუარის გარშემო 3.45-4.85 მ სიმაღლის და 2.38-2.40 მეტრის სიგანის მიწაყრილის დამბის მოწყობა, რეზერვუარში ჩაეფინება სპეციალური წყლის გაუმტარი მემბრანა. წყალსაცავის წყლით სრული შევსების პერიოდში მუშა სიმაღლე ფსკერიდან შეადგენს 4 მეტრს, ანუ მუშა მოცულობა იქნება არაუმეტეს 5451.34 მ<sup>3</sup>. რეზერვუარის ავარიული დაცლის მიზნით მოწყობილი იქნება მის ფსკერზე 225 მმ დიამეტრის 2 ცალი 30 მეტრის სიგრძის HDPE ტიპის მილი, საიდანაც წყალი



ჩაეშვება სადრენაჟე არხში. რეზერვუარის სრულად დაცლა ოპერირების პერიოდში დაგეგმილი არ არის, პერიოდული რეცხვის გარდა, რომელიც განხორციელდება წელიწადში ორჯერ, შემოდგომა-გაზაფხულზე, ხოლო მოცვის ბაღების რწყვის პერიოდში მუდმივ რეჟიმში მოხდება რეზერვუარის წყლით შევსება მდინარედან.

რეზერვუარის მოსაწყობად დაგეგმილია 3847.66 მ<sup>3</sup> გრუნტის ექსკავირება. დამბის მოსაწყობად უკუყრისთვის გამოყენებული იქნება 3901.72 მ<sup>3</sup> გრუნტი. დამბის მოსაწყობად დანაკლისი 54.06 მ<sup>3</sup> გრუნტის შევსება მოხდება სატუმბი სადგურების მოწყობის პროცესში ექსკავირებული გრუნტით.





სურ. 2.1.1. - რეზერვუარის განთავსების ტერიტორია





ნახ. 2.1.1-2.1.2 რეზერვუარის გეგმა










ნახ. 2.1.3 რეზერვუარის ჭრილები





### **სატუმბი სადგური მდინარე ბახვისწყალთან**

პროექტით რეზერვუარის წყლის შესავსებად წყალაღება გათვალისწინებულია მდ. ბახვისწყალიდან. მდინარის მარჯვენა ჭალისზედა ტერასაზე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 25 მ<sup>2</sup> ფართობის მიწის ნაკვეთზე (ს/კ 26.23.26.221) მოეწყობა სატუმბი სადგური (მარტივი ტიპის ერთსართულიანი ნაგებობა), სადაც განთავსდებ 140 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის ტუმბო.

სატუმბი სადგურიდან წყალაღებისთვის საჭირო ლითონის მილი განთავსდება მდინარეში (სიმაღლეთა სხვაობა მდ. კალაპოტს და სატუმბს შორის 3 მ). სატუმბი სადგურის ტერიტორია მცენარეული საფარის სახით გვხვდება გვიძრა და მაყვალი. ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილია 0.15 მ. სიმძლავრით, რომელიც მოიხსნება და დროებით დასაწყობდება მიმდებარედ, ხოლო შემდგომში გამოყენებული იქნება რეზერვუარის ფერდების რეკულტივაციისთვის. სატუმბი სადგურიდან (მდინარესთან მდებარე) უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ჩრდილოეთით 240 მეტრის მოშორებით.

შპს „ნაგობერი 1“-ს მიერ აღნიშნული ტერიტორიით სარგებლობაზე მოხდება იჯარის ხელშეკრულების გაფორმება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან“.



სქემა 2.1.1 სატუმბი სადგურის განთავსების ტერიტორია





### **მილსადენის დერეფნი**

მდ. ბახვისწყლიდან წყალაღების მილსადენი მდინარის მარჯვენა ჭალისზედა ტერასაზე. ზ.დ 97.5 მეტრ სიმაღლეზე მდებარე სატუმბ სადგურის გავლით დაუკავშირდება საპროექტო რეზერვუარს. მილსადენის სრული სიგრძე შეადგენს 604 მ-ს. მილსადენისთვის გამოყენებული იქნება HDPE -250/6 მილების ტიპი, რომელიც განთავსდება მიწის ზედაპირიდან 1 მეტრ სიღრმეზე, ტრანშეის სიგანე იქნება 60 სმ. სატუმბი სადგურიდან მილსადენი მიემართება ჩრდილოეთით 10-20° დახრილობის ფერდობზე, დაახლოებით 395 მეტრ მანძილზე. ამ მონაკვეთზე, მილსადენის მიმდებარედ წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. უშუალოდ მილსადენის ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას და მიწის ნაკვეთით სარგებლობაზე მოხდება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან“. ზოგიერთ ადგილას წარმოდგენილია რამდენიმე ერთეული დაბალი ღირებულების ბუჩქოვანი მცენარეები (8 სმ დიამეტრზე ნაკლები). მილსადენის განთავსებისას მათი გარემოდან ამოღება არ არის დაგეგმილი. მილსადენის ამ მონაკვეთზე (395 მ. სიგრძეზე) მოხდება ნაყოფიერი ფენის მოხსნა 0.15 მ სისქეზე. მოხსნილი ნაყოფიერი ფენა განთავსდება ტრანშეის მარჯვენა მხარეს, ხოლო ექსკავირებული გრუნტი განთავსდება ტრანშეის მარცხენა მხარეს, რათა არ მოხდეს მათი ერთმანეთში არევა და ჰუმუსოვანი ფენის ხარისხის ცვლილება. მილსადენის სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ მოხდება ნაყოფიერი ფენის განფენა მილსადენის დერეფანში.

შემდგომ, მილსადენის დერეფანი გადაკვეთს 5 მ სიგანის ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული ასფალტის საფარის მქონე გზას. აქვე გადის შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს საკუთრებაში არსებული გაზის მილსადენი და აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „ნაგობერი 1“-ის მიერ მოხდება როგორც მუნიციპალიტეტთან, ისე შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-სთან შეთანხმება. მოცემულ ტერიტორიაზე გაზის ნაპირზე განთავსებულია გარე განათების საყრდენი ბოძი, თუმცა, პროექტით დაგეგმილი ტრანშეის სიგანის და სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით, საყრდენის დაზიანების საფრთხე არ არსებობს. აქედან, მილსადენი საპროექტო რეზერვუარამდე განთავსდება არსებული გრუნტის გზის მარცხენა ნაპირზე. აღნიშნული გზა გამოიყენება საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად.

### **წვეთოვანი გამანაწილებელი სისტემა და სატუმბი სადგური საპროექტო რეზერვუართან**

საპროექტო რეზერვუარის ჩრდილოეთით, რამდენიმე მეტრის მოშორებით მოეწყობა სამელიორაციო სისტემის გამანაწილებელი სატუმბი სადგური, სადაც განთავსდება დამწნეხი ტუმბო და მართვის სისტემები, დაახლოებით 100 მ<sup>2</sup> ფართობზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე ხე-მცენარეული საფარი და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არა არის.

ტუმბოებისთვის დამონტაჟდება ელექტრო დაცვის პანელი სიხშირული მართვით. ხაზობრივი ნაგებობის და წვეთოვანი სარწყავი სისტემისთვის ქსელისათვის გამოიყენება HDPE მილები. აღნიშნულ პროექტში გამოყენებული იქნება 50/6, 63/6, 75/6, 90/6, 110/6, 125/6, 140/6, 160/6, 200/6, 225/6, 250/6 მმ. დიამეტრიანი მილები (იხ. სურათი 2.2.1).

აღნიშნული ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს 234 მეტრს,



სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

**სურათი 2.1.2. HDPE მილები**



**ცხრილი 2.1.1** „პროექტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურის ძირითადი ელემენტები“  
დაზუსტებული ექსპლიკაცია;

საირიგაციო მონაცემები-ბუნებრივი ნიადაგი		
აღწერა	ერთეულები	დეტალები
ნერგი	ცალი	მოცვი
სარწყავი ფართობი წმინდა	ჰა	17
რიგებს შორის დაშორება	მ	3
ძირებს შორის დაშორება	მ	1
სარწყავი სისტემა		წვეთოვანი სისტემა
სარწყავის ტიპი		DRIPNETPC



წყლის წყარო		მდინარე
-------------	--	---------

**ცხრილი 2.1.2** ტექნიკური ინფრასტრუქტურის მახასიათებლები

დასახელება	სპეციფიკაცია	მილის ტიპი	ერთეული	სიდიდე
დამხმარე მილები	50/6	HDPE	მეტრი	1,530.00
დამხმარე მილები	63/6	HDPE	მეტრი	430.00
დამხმარე მილები	75/6	HDPE	მეტრი	360.00
დამხმარე მილები	90/6	HDPE	მეტრი	414.00
დამხმარე მილები	110/6	HDPE	მეტრი	198.00
მთავარი მილები	75/6	HDPE	მეტრი	24.00
მთავარი მილები	110/6	HDPE	მეტრი	1,224.00
მდინარიდან ამომყვანი მილები	200/6	HDPE	მეტრი	624.00
ტუმბო სარწყავის სისტემის	ტუმბო სარწყავის სისტემის 7.5 კვტ	მეტალის	ერთეული	1.00
ტუმბო მდინარიდან	ელექტრო ტუმბო 17 კვტ მდ. ბახვიდან	მეტალის	ერთეული	1.00

მდ. ბახვისწყლის წყლის სარწყავად გამოყენება მოხდება სეზონურად, 8 თვის (მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი) განმავლობაში.

1 ჰა-ზე 3x1 სქემით (≈ 3333 ნერგი/ჰა) გაშენებული მოცვის ბაღის სიარიგაციო პროგრამის მონაცემები წარმოდგენილია ცხრილში 2.1.3.

**ცხრილი 2.1.3** მოცვის ბაღის სიარიგაციო პროგრამის მონაცემები თვეების მიხედვით

	პირველი წელი	მეორე წელი	მესამე წელი	ზრდასრული
მარტი	700	1200	1500	2000



აპრილი	800	1000	1200	1500
მაისი	900	1200	1400	1500
ივნისი	1000	1150	1500	1700
ივლისი	1100	1200	1400	1600
აგვისტო	900	1000	1200	1400
სექტემბერი	750	800	850	1000
ოქტომბერი	400	500	750	825
<b>ჯამი (მ³/ჰა)</b>	<b>6550</b>	<b>8050</b>	<b>9800</b>	<b>11525</b>

**შენიშვნა:**

საპროექტო საირიგაციო პროგრამის მონაცემები წარმოადგენს 17 ჰა მიწის ნაკვეთზე ზრდასრული ნერგის შემთხვევაში წელიწადში (11525X17) 195925 მ³ წყლის მაქსიმალურ რაოდენობას.

**ცხრილი 2.2.4** დაზუსტებული ინფორმაცია წვეთოვანი რწყვის ჯერადობის და მდინარე ბახვისწყალის ამოღების შესახებ (გრაფიკი) თვის განმავლობაში.

საირიგაციო თვეების ჩამონათვალი	წყალაღება სულ მ³ (17 ჰა)	მორწყვის რაოდენო ბა	ერთი მორწყვისთვის საჭირო წყლის რაოდენობა მ³	რეზერვუარში წყლის აღების რაოდენობა მ³/წმ	მდინარეში არსებული წყლის მინ.რაოდენობა (90 % უზრუნველყოფი ს ხარჯი) მ³/წმ	მდინარეში დარჩენილი წყალი მ³/წმ
მარტი	34000	8	4250	0,039	2.29	<b>2.251</b>
აპრილი	25500	12	2150	0,039	3.55	<b>3,511</b>
მაისი	25500	15	1700	0,039	5.67	<b>5,631</b>
ივნისი	28900	15	1927	0,039	3.58	<b>3,541</b>
ივლისი	27200	12	2267	0,039	2.11	<b>2,071</b>
აგვისტო	23800	10	2380	0,039	1.53	<b>1,491</b>
სექტემბერი	17000	8	2125	0,039	1.49	<b>1,451</b>
ოქტომბერი	14025	6	2338	0,039	1.88	<b>1,841</b>



**ცხრილი 2.2.5** მოცვის ბაღის გაშენების და მოვლის ძირითადი აგროტექნიკური ღონისძიებები და მათი ჩატარების ვადები

№	ტექნოლოგიური პროცესი	ჯერადობა	აგროკალენდარი															
			IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
<b>ნიადაგის მომზადება</b>																		
1	ნიადაგის ანალიზის გაკეთება	1								+								
2	ტყებუჩქნარისაგან მიწის ზედა ნაწილის გაწმენდა (ბენზო ხერხი, მულჩერი)	1									+							
3	ტყებუჩქნარის გატანა ნაკვეთიდან ტრაქტორით და მუშახელით.	5									+	+						
4	ნიადაგის მოშანდაკება ბულდოზერით	1											+	+				
5	ნიადაგის მოხვნა 35-40 სმ სიღრმეზე	1												+	+			
6	ნიადაგის დაფარვა	1													+	+		
7	ნიადაგის გაწმენდა ხელით მცენარეული ნარჩენებისაგან 4-5 ჯერ სხვადასხვა ოპერაციების შემდეგ															+	+	
8	ნიადაგის დადისკვა																+	+
9	ჩიხელის გატარება 50-60 სმ სიღრმეზე																+	+









4	სარეველებისაგან ძირების გაწმენდა ხელით	4										+	+			+			
5	ტოტალური ჰერბიციდით მულჩის ნაპირების დამუშავება	1										+		+					
6	მცენარეთა დაცვის საშუალებების შექმნა	საჭიროებისამებრ										+	+	+	+	+	+		
7	რწყვა წვეთოვანი სარწყავი სისტემით და ფერტიგაცია	სისტემატიურად										+	+	+	+	+	+	+	+
8	ფრეზირება	1										+							
9	შეწამვლა ტრაქტორით	10-12 ჭიროებისამებრ										+	+	+	+	+	+	+	+
10	მწვანე გასხვლა	1											+	+					
11		1																	
<b>მეორე სავეგეტაციო წელი 2023</b>																			
1	სხვლა-ფორმირება	1										+	+						
2	სასუქების და მცენარეთა დაცვის საშუალებების შექმნა	საჭიროებისამებრ										+	+	+	+	+	+	+	+
3	რწყვა წვეთოვანი სარწყავი სისტემით და ფერტიგაცია	სისტემატიურად																	
4	ფრეზირება ან რიგთაშორისი კულტივაცია	1-2 როემისამებრ																	
5	შეწამვლა ფუნგიციდებით	10-12 როემისამებრ										+		+	+	+	+	+	+



6	მწვანე ოპერაციების ჩატარება	1																	
7	მულჩერის გატარება	5																	
8	ტოტალური ჰერბიციდის შეტანა მულჩის ნაპირებში																		
9	მწვანე გასხვლა																		
10	სამაცივრე და დამახარისხებელი აგრეგატების მოწყობა	1																	
11	პერიმეტრის წამლობა ტოტალური ჰერბიციდით	2																	
12	კრეფა, დაფასოება, რეალიზაცია	1																	
13	ძირებში სარეველების გამოწმენდა	3																	
<b>მესამე სავიზიტაციო 2024 წელი</b>																			
1	სხვლა-ფორმირება	1																	
2	ნასხლავების მულჩირება																		
3	სასუქების და მცენარეთა დაცვის საშუალებების შექმნა	საჭიროებისამებრ																	
4	რწყვა წვეთოვანი სარწყავი სისტემით და ფერტიგაცია	სისტემატიურად																	
5	ფრეზირება ან რიგთაშორისი კულტივაცია	1-2 როემისამებრ																	





7	მწვანე ოპერაციების ჩატარება	1																	
8	მულჩერის გატარება მწკრივებში	5								+	+	+	+	+					
9	ტოტალური ჰერბიციდის შეტანა მულჩის ნაპირებში									+			+						
10	კრეფა, დაფასოება, რეალიზაცია										+	+							
11	პერიმეტრის წამლობა ტოტალური ჰერბიციდით	2								+		+							
12	კრეფა, დაფასოება, რეალიზაცია	1									+	+							
13	ძირებში სარეველების გამოწმენდა	3								+	+	+							
	<b>მეხუთე სავეგეტაციო 2026 წელი</b>																		
1	სხვა-ფორმირება	1							+	+									
2	ნასხლავების მულჩირება								+	+									
3	სასუქების და მცენარეთა დაცვის საშუალებების შექმნა	საჭიროებისამებრ							+	+	+	+	+	+	+	+	+		
4	რწყვა წვეთოვანი სარწყავი სისტემით და ფერტიგაცია	სისტემატიურად								+	+	+	+	+	+	+	+		
5	ფრეზირება ან რიგთაშორისი კულტივაცია	1-2 როემისამებრ																	
6	შეწამვლა ფუნგიციდებით	10-12 როემისამებრ							+		+	+	+	+	+	+	+		+
7	მწვანე ოპერაციების ჩატარება	1																	
8	მულჩერის გატარება მწკრივებში	5									+	+	+	+	+				





## 2.2 სამშენებლო სამუშაოები

დაგეგმილი სამუშაოების ფაზები:

- მოსამზადებელი სამუშაოები (ტექნიკის მობილიზება);
- ნაყოფიერი ფენის მოხსნა და განთავსება;
- საძირკვლის მოწყობა-ტრანშეების მომზადება (გრუნტის ექსკავირება);
- ფუნდამენტის და კედლის მოწყობა;
- გრუნტით უკუყრილის სამუშაოების განხორციელება;
- დაზიანებული უბნების აღდგენა-რეკულტივაცია, მიწის ნაყოფიერი ფენის განფენა.

პროექტით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელების პროცესში სამშენებლო ბანაკის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილი არ არის. საჭირო რაოდენობის ბეტონი თვითმზიდი ა/ტრანსპორტით შემოიზიდება ტერიტორიაზე. მშენებლობის და მოწყობის სამუშაოებისთვის დამატებითი გზების მოწყობის საჭიროება არ არის. საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად გამოიყენება არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის საფარის საავტომობილო გზა (4 - 5 მ. სიგანის) და ასევე, 100 მ. სიგრძის გრუნტის საავტომობილო გზა, რაც საკმარისია როგორც მშენებლობის უზრუნველყოფისთვის, ასევე ექსპლუატაციის ფაზაზე. ტექნიკის საწვავით მომარაგებისთვის სპეც/ავზის განთავსება არ იგეგმება. პროექტით არ იგეგმება არცერთი მრავალწლიანი ხე-მცენარის გარემოდან ამოღება.

პროექტით სამობილიზაციო პერიოდში რეზერვუარის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რამდენიმე მეტრის მოშრებით წერტილოვან საძირკვლებზე, (დაახლოებით 50 მ<sup>2</sup> ფართობზე) განთავსდება ე.წ სენდვიჩ-პანელის ტიპის საოფისე და სასაწყობე შენობები მუშა პერსონალისთვის. ასევე, ადგილზე მოეწყობა საასენიზაციო ორმო, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება ხელშეკრულების საფუძველზე. პერსონალის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება განხორციელდება ბუტილირებული სახით. საპროექტო ტერიტორიაზე ელექტროენერგიით მომარაგება დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ელექტროგადამცემი ხაზით, ადგილობრივი სადისტრიბუციო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

პროექტის თანახმად, საპროექტო მიწის (ს.კ.26.23.26.097) ნაკვეთზე სამუშაოების ძირითად ნაწილს წარმოადგენს წყლის რეზერვუარის მოსაწყობად საჭირო გრუნტის საექსკავაციო სამუშაოები, რომლის ზედაპირის ფართობი შეადგენს 2703.4 მ<sup>2</sup>. ასევე, მდინარე ბახვისწყალთან საპროექტო სატუმბი სადგურის და საპროექტო რეზერვუართან წვეთოვანი სისტემისთვის განკუთვნილი წყლის გამანაწილებელი სადგურის და სატუმბი სადგურის ტერიტორიაზე ფუნდამენტის მოწყობის სამუშაოები. ასევე პროექტი ითვალისწინებს ძირითადი ხაზობრივი ნაგებობის (მილსადენის) მოწყობას, რომლის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 604 მ-ს.

საექსკავაციო სამუშაოების განხორციელებამდე კანონმდებლობის შესაბამისად პირველ ეტაპზე განხორციელდება ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება მოქმედი ნორმების შესაბამისად, რომ არ მოხდეს ინტენსიური ნალექების მოსვლის შემთხვევაში მისი ხარისხობრივი





დეგრადაცია. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საპროექტო ნაკვეთების პერიმეტრი შემოიღობება და დაცული იქნება უცხო პირების მოხვედრისაგან.

პროექტით ჰიდროტექნიკური ნაგებობის (რეზერვუარი) მოწყობისას გრუნტის განთავსება დაგეგმილია სამუშაო პერიმეტრზე, რომელიც მთლიანად ათვისებული იქნება რეზერვუარის ფერდების მოსაწყობად. საძირკვლის მოსაწყობად ტერიტორიაზე დამატებით ინერტული მასალის (ბუნებრივი რესურსი) გამოყენება არ იგეგმება. აღნიშნული გარემოება განპირობებულია რელიეფის სპეციფიკით, ასევე ტექნიკური გადაწყვეტით (გამოიყენება ტენშეულწვევადი მემბრანა). რეზერვუარის მოწყობის შემდგომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მოხსნილი ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება რეზერვუარის ფერდების რეკულტივაციისთვის.

მილსადენების გრუნტში განთავსებისთვის საჭირო სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყენებული იქნება მხოლოდ ერთი ერთეული ტექნიკა-ექსკავატორი.

პროექტით ძირითადი მილსადენის დიამეტრები მერყეობს 250 მმ დან 280 მმ-დე, რომლის მთლიანი სიგრძეც შეადგენს 604 მეტრს. სამუშაოები დიდ ადამიანურ და დროის რესურსს არ მოითხოვს - ექსკავირებული გრუნტის სიღრმე 1 მეტრს არ აღემატება (გაითხრება 60 სმ სიგანის და 100 სმ სიღრმის ტრანშეა). მოქმედი საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად ტრანშეის ერთ მხარეს განთავსდება მილსადენის დერეფანში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა (სიმძლავრე 10-15 სმ) ხოლო, ტრანშეის მეორე მხარეს ექსკავირებული გრუნტი. მილის ტრანშეაში განთავსების შემდგომ ექსკავირებული გრუნტი მთლიანად უკუყრილის სახით იქნება გამოყენებული და შემდგომ განხორციელდება ნაყოფიერი ფენის განფენა მილსადენის დერეფანში.

რეზერვუარის მიმდებარედ სატუმბო სადგურის და წვეთოვანი სისტემის გამანაწილებელი სადგურის მოწყობა დაგეგმილია ჯამში დაახლოებით 100 მ<sup>2</sup> მიწის ფართობზე. ვინაიდან სადგურები თავისი ტექნიკური მოთხოვნებით მარტივი ტიპის ერთსართულიან ნაგებობას წარმოადგენს, მისი საძირკვლის მოწყობისთვის მნიშვნელოვანი რაოდენობის გრუნტის ექსკავირება საჭირო არ იქნება. საძირკვლის არმირების სამუშაოების განხორციელების შემდგომ ბეტონი თვითმზიდი ტრანსპორტით შემოიზიდება ტერიტორიაზე და აღნიშნულიდან გამომდინარე დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობის ადგილზე საჭიროება არ იქნება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოს კომპონენტებზე უარყოფით ზემოქმედებას.

სამუშაოების მიმდინარეობისას წარმოქმნილი გამონამუშევარი გრუნტი სრულად იქნება გამოყენებული როგორც დამზის ფერდების მოსაწყობად, ასევე უკუყრის სამუშაოებისას.



### 2.3 გამოყენებული ტექნიკის რაოდენობა და ჩამონათვალი

სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოყენებული იქნება სამი ერთეული ტექნიკა, რაც სამუშაოების მცირე მოცულობით აიხსნება. კერძოდ:

- ექსკავატორი -1;
- თვითმცლელი -1;
- ბულდოზერი - 1;

### 2.4 დასაქმებული პერსონალის რაოდენობა და სამუშაო საათები;

ხაზობრივი ნაგებობის და წყალშემკრები ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობა/მოწყობა დაგეგმილია მაქსიმუმ 180 - 190 კალენდარული დღის მანძილზე. სულ ობიექტზე დასაქმებული იქნება 12-15 მუშა-პერსონალი. საპროექტო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია დღის საათებში 8 სთ. სამუშაო გრაფიკით.

### 2.5 დაგეგმილი საქმიანობისთვის საჭირო ბუნებრივი რესურსები

დაგეგმილი ტექნოლოგიური პროცესისათვის ერთ-ერთ აუცილებელ რესურსს წარმოადგენს წყალი, რომლსაც კომპანია აიღებს მდ. ბახვისწყლიდან, ზრდასრული ნერგის შემთხვევაში წელიწადში მორწყვისთვის წყლის მაქსიმალურ რაოდენობად განისაზღვრა (11525X17) 195925 მ<sup>3</sup> წყალი.

პროექტის ფარგლებში გამოყენებული იქნება საქმიანობის განმახორციელებლის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 170000 მ<sup>2</sup> (17 ჰა) და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. სხვა ბუნებრივი რესურსის გამოყენება პროექტით არ იგეგმება.



### 3. საპროექტო ტერიტორიის გარემო პირობები

#### 3.1 ტერიტორიის ფუნური დახასიათება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მისი ფართობი შეადგენს 673,97 კმ<sup>2</sup>.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, სამხრეთით - აჭარა-გურიის ქედი, მდინარე ჩოლოქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა; აღმოსავლეთით - ჩოხატაურის, ხოლო ჩრდილოეთით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები.

მუნიციპალიტეტის ცენტრი - ქ. ოზურგეთი თბილისიდან დაშორებულია 232 კმ. მეტი მანძილით. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შედის 4 დაბა და 24 სოფელი.

#### 3.2 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები

##### 3.2.1 კლიმატური ზონები და დაკვირვებების პუნქტები

მდ. ბახვისწყლის აუზისა და სამელიორაციო სისტემის რაიონის კლიმატური დახასიათება შედგენილია საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის კლიმატის კვლევის ეროვნული ცენტრის, რეგიონში მდებარე ქ. ოზურგეთის მეტეოროლოგიური სადგურის (მს) მონაცემების მიხედვით (იხ. ცხრილი 3.2.1.1).

**ცხრილი 3.2.1.1** მეტეოროლოგიური სადგურის კოორდინატები და ბარომეტრული წნევა [14, pg.4]

მს დასახელება	სამშენებლო-კლიმატური რაიონი	კოორდინატები			ბარომეტრული წნევა (ჰპა)
		გეოგრაფიული განედი (გრადუსი და მინუტი)	გეოგრაფიული გრძედი (გრადუსი და მინუტი)	სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)	
ოზურგეთი	III ბ	41°56'	41°58'	70	1010

მდინარის აუზი მდებარეობის ზღვის სუბტროპიკული ნოტიო ჰავის ოლქში (რუკა 3.2.1.1). ტერიტორიაზე, კლიმატური თვალსაზრისით, შეიმჩნევა გარკვეული სიმაღლითი ზონალობა და მაკრო-დარაიონება, ცალკეული რაიონებისა და მათი შემომსაზღვრელი მთიანი ქედების განლაგების პირობებიდან გამომდინარე.




**ცხრილი 3.2.1.2** სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
I	სა	-4-დან -14-მდე	5 და მეტი	+5-დან +12-მდე	75 მეტი
	სბ	-3-დან -5-მდე	5 და მეტი	+12-დან +21-მდე	75 მეტი
	სგ	-4-დან -14-მდე	-	+12-დან +21-მდე	-
	სდ	-5-დან -14-მდე	5 და მეტი	+12-დან +21-მდე	75 მეტი
II	IIა	-14-დან -20-მდე	-	+21-დან +25-მდე	-
	IIბ	-5-დან -2-მდე	-	+21-დან +25-მდე	-
	IIგ	-5-დან -14-მდე	-	+21-დან +25-მდე	-
III	IIIა	-10-დან +2-მდე	-	+28-დან და მეტი	-
	IIIბ	+2-დან +6-მდე	-	+22-დან +28-მდე	50 და მეტი 13ს
	IIIგ	0-დან +2-მდე	-	+25-დან +28-მდე	-
	IIIდ	-15-დან 0-მდე	-	+25-დან +28-მდე	-



რუკა 3.2.1.1 საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონება





### 3.2.2 ჰაერის ტემპერატურა


ოზურგეთის რაიონის ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 14,5 °C-დან -4 °C-მდეა, ყველაზე ცივი თვეა იანვარი (+5 °C-დან -5 °C-მდე), ხოლო ყველაზე თბილი აგვისტო (+23 °C- დან +13 °C-მდე). აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურაა -17 °C-დან -18 °C-მდე (ზღვისპირა დაბლობი) და -30 °C-დან -32 °C-მდე (მაღალ მთებში). აბსოლუტური მაქსიმუმი +31 °C-დან +41 °C-მდე შორის მერყეობს.

ტემპერატურის რეჟიმის დახასიათებისათვის მშენებლობის ტერიტორიაზე ჩვენ გამოვიყენეთ ოზურგეთის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები [14]. მოქმედი ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო კლიმატოლოგია“ [14] გამოიშვა 2008 წელს და მაგის გამოყენება სავალდებულოა საქართველოს ტერიტორიაზე პროექტებისას. ტემპერატურის მახასიათლებელი მოცემულია ცხრილებში 3.2.2.1-3.2.2.5, რუკებზე 3.2.2.1, 3.2.2.2 და ნახატებზე 3.2.2.1-3.2.2.3.

**ცხრილი 3.2.2.1** გარე ჰაერის ტემპერატურა აღებული ოზურგეთის მეტეო სადგურის მონაცემებიდან [14, გვ.35]


მს დასახელება	გარე ჰაერის ტემპერატურა °C												წლის საშუალო	აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშუალო
	თვის საშუალო															
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი				
ოზურგეთი	4.8	5.4	8	12	16.6	20	22.3	22.6	19.4	15.4	10.4	6.9	13.6	-19	41	27.0

**ნახ. 3.2.2.1** გარე ჰაერის ტემპერატურა აღებული ოზურგეთის მეტეო სადგურის მონაცემებიდან, თვის საშუალო, °C






რუკა 3.2.2.1 ჰაერის საშუალო ტემპერატურა. იანვარი





რუკა 3.2.2.2 ჰაერის საშუალო ტემპერატურა. ივლისი








**ცხრილი 3.2.2.2** გარე ჰაერის ტემპერატურა სხვადასხვა პერიოდების , აღებული ოზურგეთის მეტეო სადგურის მონაცემებიდან, [14, გვ .35]

მს დასახელება	პერიოდი <8 °C საშუ-ალო თვიური ტემპერა-ტურით		საშუალო ტემპერატურა 13 საათზე		ყველაზე ცივი ხუთ-დღიური საშუალო	ყველაზე ცივი დღის საშუალო	ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო
	ხანგრძლი-ვობა დღეებში	საშუალო ტემპერატურა	ყველაზე ცივი თვისათვის	ყველაზე ცხელი თვისათვის			
ოზურგეთი	106	5.3	8.0	25.7	-4	-6	4.0

**ცხრილი 3.2.2.3** ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა აღებული ოზურგეთის მეტეო სადგურის მონაცემებიდან, [14, გვ.41]

მს დასახელება	თვის საშუალო, °C											
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ოზურგეთი	8.0	8.5	9.7	11.0	11.8	10.0	9.5	10.0	10.7	10.6	9.4	7.8

**ნახ. 3.2.2.2** ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა აღებული ოზურგეთის მეტეო სადგურის მონაცემებიდან, °C




**ცხრილი 3.2.2.4** ჰაერის ტემპერატურის მაქსიმალური ამპლიტუდა აღებული ოზურგეთის მეტეო სადგურის მონაცემებიდან, [14, გვ.41]

თვის მაქსიმალური, °C
----------------------



მს დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ოზურგეთი	16.9	18.0	19.4	22.3	23.6	21.0	19.5	20.5	21.4	21.2	19.0	19.5

**ნახ. 3.2.2.3** ჰაერის ტემპერატურის მაქსიმალური ამპლიტუდა ადგილობრივი ოზურგეთის მეტეო სადგურის მონაცემებიდან, °C



**ცხრილი 3.2.2.5** ჰაერის ტემპერატურის (C<sup>0</sup>) განაწილება სამელიორაციო სისტემის მშენებლობის ტერიტორიაზე

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
საშუალო ტემპერატურა	2.6	3.2	6.3	10.4	14.4	17.8	19.4	20.5	17.6	14.2	9.4	4.8
საშ. მაქს. ტემპერატურა	7.4	8.1	12.3	16.8	20.6	22.8	23.5	24.2	21.7	18.4	14.3	9.3
საშ. მინ. ტემპერატურა	-1.6	-1.2	2.3	6.9	10.3	14.7	17.5	18.2	14.8	11.4	7.5	0.8
აბს. მაქს. ტემპერატურა	22	23	29	31	33	36	38	38	34	31	28	22
აბს. მაქს. ტემპერატურა 1966-2010წ	11.0	9.7	14.3	19.0	25.0	25.8	31.8	31.0	28.8	23.0	17.2	16.8
აბს. მინ. ტემპერატურა	-18	-12	-6	3	6	8	10	10	5	1	-6	-15
აბს. მინ. ტემპერატურა 1966-2010წ	-24.0	-22.0	-20.1	-15.3	-7.7	-2.1	0.5	1.3	-4.0	-9.0	-13.4	-18.7

მშენებლობის რაიონში შემოდგომის პირველ წყინვათა თარიღია 10.11-30.11, გაზაფხულის უკანასკნელ წყინვათა თარიღია 20.03-10.04, უყინვო პერიოდის ხანგრძლიობა საშუალოდ



წელიწადში არის 200-250 დღე.

### 3.2.3 ტენიანობა


სამშენებლო ტერიტორიაზე ტენიანობის მახასიათებლები მოცემულია ცხრილებში 3.2.3.1-

3.2.3.2 და რუკაზე 3.2.3.1.

**ცხრილი 3.2.3.1** ფარდობითი ტენიანობა აღებული ოზურგეთის მეტეო სადგურის მონაცემებიდან, [14, გვ.43]


მს დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %												
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	საშუალო
ოზურგეთი	72	74	74	73	77	78	81	82	82	78	74	70	76

**ნახ.3.2.3.1** გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა აღებული ოზურგეთის მეტეო სადგურის მონაცემებიდან, %





რუკა 3.2.3.1 ყველაზე ცხელი თვის ფარდობითი ტენიანობა. % დღის 13 სთ-ზე. ივლისი





**ცხრილი 3.2.3.2** გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა სხვადასხვა დღის 13 საათზე და დღელამური ამპლიტუდა აღებული ოზურგეთის მეტეო სადგურის მონაცემებიდან, % [14, გვ.47]

მს დასახელება	საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენიანობის საშ. დღელამური ამპლიტუდა	
	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
ოზურგეთი	66	72	11	17


### 3.2.4 ატმოსფერული ნალექები

მდ. ბახვისწყლის აუზში ატმოსფერულ ნალექების დაკვირვებების მონაცემები მოცემულია ცხრილებში 3.2.4.1- 3.2.4.3.

**ცხრილი 3.2.4.1** ატმოსფერული ნალექების საშუალო თვიური და წლიური რაოდენობა (მმ)

მს დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XI- III	IV- X	წელი
ქვედა ბახვი	198	166	133	76	64	115	125	156	212	243	200	193	890	991	1881
ოზურგეთი	198	186	139	110	81	130	156	179	224	235	223	212	958	1115	2073
ვაკიჯვარი	226	192	154	87	74	128	142	176	238	276	226	221	1019	1121	2140

**ნახ. 3.2.4.1** ატმოსფერული ნალექების საშუალო თვიური რაოდენობა (მმ),



**ცხრილი 3.2.4.2** ატმოსფერული ნალექების რაოდენობა (მმ/წ), განაწილება აუზის სიმაღლეების მიხედვით

მდინარე	აუზის სიმაღლე, მ								
	0	500	1000	1500	2000	2500	3000	3500	4000



ბახვისწყალი		1940	2100	2340	2500	2620			
-------------	--	------	------	------	------	------	--	--	--

**ცხრილი 3.2.4.3** ატმოსფერული ნალექების რაოდენობა (მმ/წ) [14, გვ.55]

პუნქტის დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ
ოზურგეთი	2168	216

**3.2.5 აორთქლება**

**ცხრილი 3.2.5.1** აორთქლება (მმ/წ); განაწილება აუზის სიმაღლეების მიხედვით

მდინარე	აუზის სიმაღლე, მ								
	0	500	1000	1500	2000	2500	3000	3500	4000
ბახვისწყალი		760	760	740	700	620			

**ცხრილი 3.2.5.2** გარე ჰაერის წყლის ორთქლის პარციალური წნევა, კპა [14, გვ. 49]

მს დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	საშუალო
ოზურგეთი	6.5	6.7	7.3	9.6	13.8	18.0	21.2	21.8	18.1	13.5	10.1	7.4	12.8

**3.2.6 თოვლი**

თოვლის საფარის მახასიათებელი პარამეტრებია: სისქე, მდგრადი საბურველის წარმოქმნის და დაშლის თარიღები, საბურველის დგომისა და დაშლის ხანგრძლიობა, თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი.

გამოყენებული იქნა ქ. ოზურგეთის (ქ. მახარაძე) და ს. ნაბელავის მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემები, რომელთა შედეგები მოცემულია 3.2.6.1 – 3.2.6.3 ცხრილებში.

**ცხრილი 3.2.6.1** თოვლის საფარის წონა, წყალშემცველობა და დღეთა რიცხვი [14, გვ.63]

მს დასახელება	თოვლის საფარის წონა, კპა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
ოზურგეთი	0,50	22	-



**ცხრილი 3.2.6.2** თოვლის საფარის წარმოქმნის და დაშლის თარიღები

მს დასახელება	თოვლის საფარიანი დღეების რაოდენობა	თოვლის საფარის წარმოქმნის თარიღი		თოვლის საფარის დაშლის თარიღი	
		საშუალო	ყველაზე ადრე	საშუალო	ყველაზე გვიან
ოზურგეთი	22	11 I	20 XI	3 III	20 IV
ვაკიჯვარი	37	27 XII		20 III	
ნაბელავი	51	15 XII	8 X	23 III	17 IV

2017 წელს 26 თებერვალს დაფიქსირდა თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე 596 სმ.



**ცხრილი 3.2.6.3** თოვლის საფარის საშუალო დეკადური სიმაღლე, სმ

მს დასახელება	X		XI			XII			I			II			III			IV			V			ზამთრის უდიდესი		
	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	1	2	3	საშ	max	min
ოზურგეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	5	7	9	6	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	18	55	1
ვაკიჯვარი	-	-	-	-	-	-	-	-	8	20	27	23	18	12	11	-	-	-	-	-	-	-	-	49	168	2
ნაბელავი	-	-	-	-	-	-	-	14	16	20	33	4	3	2	1	-	-	-	-	-	-	-	-	10	32	0

**3.2.7 მდინარე ბახვისწყლის წყლის ტემპერატურა**

**ცხრილი 3.2.7.1** მდინარე ბახვისწყლის წყლის ტემპერატურა

მს დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	Max. T °C	თარიღი
მდინარე ბახვისწყალი, ს.ქვედა ბახვი, 1950-1980 წლები														
საშუალო	3.7	4.0	4.9	6.7	9.0	11.5	14.7	15.2	12.6	10.2	6.9	4.7	26.0	23.08.1972
მაქსიმუმი	6.2	6.3	7.3	10.3	15.7	20.7	21.4	22.5	8.3	17.6	12.8	7.8		
მინიმუმი	2.0	2.0	3.2	4.5	6.8	8.2	11.4	10.3	8.6	6.7	4.3	2.8		
მდინარე ბახვისწყალი, კ.ბახმარო, 1950-1979 წლები														
საშუალო	0.5	0.6	0.8	1.6	3.4	6.4	10.5	11.6	8.6	4.9	2.1	0.7	21.0	22.07.1974
მაქსიმუმი	1.0	2.2	2.5	3.7	5.1	9.6	13.3	14.4	10.8	9.4	3.7	1.6		
მინიმუმი	0.2	0.3	0.2	0.8	1.9	3.8	6.4	6.3	2.6	1.0	0.7	0.3		





### 3.2.8 ქარი

მთიან რაიონებში ქარის მიმართულება ძირითადად დამოკიდებულია ხეობის მიმართულებასა და ფერდობის ექსპოზიციასზე. მომავალი მშენებლობის ადგილისათვის მისაღები სიზუსტით შეგვიძლია ვიხეიძღვანელოთ მეზობელი (ს.ანასეული, ქ.ოზურგეთი) მეტეოსადგურის მონაცემებით, რომელთა შედეგები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში 3.2.8.1 - 3.2.6.3, რუკაზე 3.2.8.1.

**ცხრილი 3.2.8.1** ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები აღებული ოზურგეთის მეტეო სადგურის მონაცემებიდან [14, გვ.65]

მს დასახელება	W <sub>0</sub> 5 წელი-წადში ერთხელ, კპა	W <sub>0</sub> 15 წელი-წადში ერთხელ, კპა
ოზურგეთი	0,30	0,30


**ცხრილი 3.2.8.2** ქარის მახასიათებლები აღებული ოზურგეთის მეტეო სადგურის მონაცემებიდან [14, გვ.67]

მს დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი									ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ	
	1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	
ოზურგეთი	20	22	23	23	24	3/3	17/3	32/8	5/2	5/3	28/51	9/27	1/3	2,6/0,6	1,9/0,4	

**ცხრილი 3.2.8.3** ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა წელიწადში, [14, გვ. 67]


მს დასახელება	ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში									
	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი	
ოზურგეთი	4	11	22	3	2	36	18	4	-	

**ნახ. 3.2.8.1** ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა, ოზურგეთის მს, %





რუკა 3.2.8.1 ქარის წნევა W<sub>0</sub> შესაძლებელი 5 წელიწადში ერთხელ, კპა





### 3.3 გეოლოგიური გარემო

#### 3.3.1 საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

შპს. „ნაგობერი 1“-ს დაკვეთით, შპს „ნაგობერი 1“-ის მიერ, 2021 წლის ივნისში ჩატარდა ოზურგეთის რაიონში, სოფ. მშვიდობაურში (ნაგომარი), სარწყავი მილსადენის ტრასის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანს შეადგენდა მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური აგებულების შესწავლა და დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნების პირობების დადგენა.

მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის (სნ და წ 1.02.07-87) და ტექნიკური რეგლამენტი - „შენობების და ნაგებობების ფუძეები“) მოთხოვნის თანახმად ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა კონკრეტული უბნისათვის - მუშა პროექტის (სამუშაო დოკუმენტაცია) სტადიისათვის, შემდეგი მოცულობით:

მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, მისი კონტურის ფარგლებში გაყვანილი იქნა 4 ჭაბურღილი სიღრმით 3.0 მ - თითოეული. ჭაბურღილების გაყვანის დროს ხდებოდა გრუნტების ვიზუალური აღწერა და დაკვირვება გრუნტის წყლის დონეებზე.

გრძივი გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილის შედგენის დროს გამოყენებულია საკვლევ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი და ხელოვნური თხრილების, ქვაბულების და ბუნებრივი გაშიშვლებების ვიზუალური დაკვირვების შედეგები და ასევე ფონდური მასალები.

საგამოკვლევო ჭაბურღილები დატანილია დამკვეთის მიერ გადმოცემულ უბნის 1:500 მასშტაბის ტოპოგრაფიულ გეგმაზე, რომელთა გეგმურ-სიმაღლითი მიზმა შესრულებულია გეოლოგის მიერ პირობითად.

გეომორფოლოგიურად საკვლევ უბანი მიეკუთვნება აჭარა-იმერეთის ქედის დასავლეთ დაბოლოების ჩრდილო-დასავლეთ კალთას. ტერიტორიის რელიეფი გარაკ-ბორცვიანი და საფეხურებრივია.

ტერიტორია გეოლოგიურად აგებულია კლდოვანი ქანებით და მათი გამოფიტვის პროდუქტებით, ელუვიურ-დელუვიური და თიხოვანი ნალექებით.

ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრა მოხდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების, მაგალითად საფრანგეთის, პორტუგალიის კანონმდებლობის მიხედვით და ასევე ითვალისწინებს საქართველოში განხორციელებული მსგავსი პროექტების პრაქტიკას. ეკოლოგიური ხარჯის მონაცემები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ 3.4.8.1 ცხრილში.

**ცხრილი 3.4.8.1** სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობით შემოთავაზებული ეკოლოგიური ხარჯების შედარება

სამელიორაციო სისტემის კვეთი	Q <sub>50%</sub> უზრუნველყოფის საშუალო ხარჯი	Q <sub>50%</sub> -ის 10%	საფრანგეთის რეგულაცია Q <sub>50%</sub> -ის 10%	პორტუგალიის რეგულაცია Q <sub>50%</sub> -ის 10%	СанПиН 3907-85 Q <sub>95%მინ</sub>
მდ.ბახვისწყალი	4.60	0.46	0.46	0.46	0.71

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით წელიწადის ყველა პერიოდში მდინარის საპროექტო მონაკვეთში წყლის ხარჯი იქნება განსაზღვრული საანგარიშო ხარჯზე მეტი.

### 3.4.9 მდინარე ბახვისწყლის ნატანის ჩამონადენის სამელიორაციო სისტემის გასწორში

მდ. ბახვისწყლის ნატანის ჩამონადენზე დაკვირვებები მიმდინარეობდა 1939-42 წლებში სოფ. უკანავასთან, რომელიც მოცემულია ცხრილში 4.8.2, ხოლო შეწონილი ნატანის გრანულომეტრული შემადგენლობა იმავე კვეთში შეისწავლებოდა 1940, 1942, 1947 წლებში, რომელიც მოცემულია 3.4.9.1 ცხრილში.

**ცხრილი 3.4.9.1** მდინარე ბახვისწყლის შეწონილი ნატანის გრანულომეტრიული შემადგენლობა სოფელ უკანავასთან . წყალშემკრები აუზის ფართი 83,8 კმ<sup>2</sup>

მდინარის რეჟიმის ფაზა	ნატანის შემადგენლობის ხარისხი	დაკვირვების პერიოდი	გაზომვის რაოდენობა	ნაწილაკების დიამეტრი (მმ) და მისი შემცველობა (% წონის მიხედვით)							
				ქვიშა			მტვერი		ლამი		თიხა
				1,0-0,5	0,5-0,2	0,2-0,1	0,1-0,05	0,05-0,01 (<0,05)	0,01-0,005 (<0,01)	0,005-0,001 (<0,005)	<0,001
წყალდიდობის მატება	მსხვილი	1940,	7	12.6	21.2	26.0	6.4	2.5	8.0	23.3	
	საშუალო			-	12.3	20.0	8.7	23.6	12.0	23.4	
	წვრილი	1942		-	10.7	6.3	1.0	26.8	4.9	50.3	
წყალდიდობის კლება	მსხვილი	1942,	4	26.4	8.2	2.9	5.9	6.2	26.1	24.3	
	საშუალო			20.7	9.1	4.4	11.6	16.3	17.3	20.6	
	წვრილი			1947	0.5	5.9	6.9	20.7	66.0	-	-



შემოდგომის წყალმეტობა	მსხვილი	1940,	8	2.3	19.7	15.5	8.9	10.8	4.5	38.3	
	საშუალო	1942,		2.4	12.2	12.4	16.8	56.2	-	-	
	წვრილი	1947		1.7	2.5	8.4	16.8	70.6	-	-	



**ცხრილი 3.4.9.2** მდინარე ბახვისწყლის ნატანის საშუალო ხარჯები სოფ. უკანავასთან (წყალშემკრები აუზის ფართი 83,8 კმ<sup>2</sup>)

წლები	საშუალო თვიური ხარჯები კგ/წმ												საშუალო წლიური	ნატანის წლიური ჩამონადენი		უდიდესი საშ. დ-ლ ნატანი, სიმღვრივე, კგ/მ <sup>3</sup>	მაქს. საშუალო სიმღვრივე, კგ/მ <sup>3</sup>	დღეების რიცხვი წელიწადში, როცა სიმღვრივეა, გ/მ <sup>3</sup>			
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII		ათ. ტ	ტ/კმ <sup>2</sup>			ხარჯი	50	100	200
1939	0.017	0.007	0.007	0.13	0.084	0.080	0.14	0.30	0.51	2.30	0.082	0.11	0.31	9.8	120	3.3	830	38	28	9	3
1940	0.087	0.042	0.064	0.33	0.15	0.066	0.065	0.013	0.014	0.15	0.23	0.25	0.12	3.8	45	1.6	160	39	7	0	0
1941	0.12	0.14	0.52	1.1	0.089	0.042	0.009	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
1942	0.047	0.018	0.037	0.22	1.6	1.1	0.18	0.070	0.25	0.013	0.038	0.087	0.30	9.4	120	6.8	580	68	25	10	1



სამელიორაციო სისტემის განთავსების კვეთისათვის, დაკვირვების მონაცემების არ არსების გამო, შეგვიძლია ვისარგებლოთ ლიტერატურაში მოცემული მეთოდით. წყლის საშუალო სიმღვრივე იანგარიშება ფორმულით:

$$\rho = 10^3 \alpha \sqrt{i},$$

სადაც  $\alpha$  არის ეროზიის კოეფიციენტი. 82-ე რუკის მიხედვით [62] მეორე რაიონისათვის

$\alpha = 0,11-0,25$  მივიღოთ  $\alpha = 0,12$ ;

$i$  - წყალშემკვრები აუზის საშუალო ქანობი,  $i = 320\% = 0,320$

მაშინ

$$\rho = 1000 \times 0,12 \times \sqrt{0,320} = 68 \text{ გ/მ}^3$$

სიმღვრივის მიღებული მნიშვნელობა აკმაყოფილებს 79-ე რუკაზე [6] მოცემულ, დასავლეთ კავკასიონის მცირე და საშუალო მდინარეების, წყლის საშუალო სიმღვრივის მნიშვნელობას 50-100 გ/მ<sup>3</sup>.

ატივწარებული ნატანის საშუალო მრავალწლიური ხარჯი (ნორმა) იანგარიშება ფორმულით

$$R = \rho \times Q_{საშ},$$

სადაც  $Q_{საშ}$  არის საშუალო მრავალწლიური ხარჯი სამელიორაციო სისტემის განთავსების კვეთში.

$Q_{საშ} = 5.41 \text{ მ}^3/\text{წმ}$ ;

$\rho$  - საშუალო სიმღვრივე  $\rho = 68 \text{ გ/მ}^3$ . მაშინ ატივწარებული ნატანის მრავალწლიური ხარჯი იქნება

$$R = 0.068 \times 5.41 = 0.37 \text{ კგ/წმ},$$

ხოლო ატივწარებული ნატანის საშუალო წლიური ჩამონადენი

$$\Sigma R = 0,37 \times 31,5 \times 106 = 11,57 \text{ ათასი ტ.}$$

ფსკერული ნატანის რაოდენობა მივიღოთ საერთო ნატანის რაოდენობის 20%,

ფსკერული ნატანის საშუალო წლიური ჩამონადენი

$$\Sigma G = (20 \times 11,57) / 80 = 2.89 \text{ ათასი ტ.}$$

მაშასადამე, სამელიორაციო სისტემის განთავსების გასწორში, მდ. ბახვისწყლის მყარი ნატანის საშუალო მრავალწლიური ჩამონადენი იქნება

$$\Sigma T = \Sigma R + \Sigma G \approx 14.46 \text{ ათასი ტ.}$$

**ცხრილი 3.4.9.2** მდინარე ბახვისწყლის მყარი ნატანის შიდაწლიური გადანაწილება სამელიორაციო სისტემის კვეთში



ნატანი, ათასი ტ.	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ.
ატივარებ ული, R	7.62	7.92	9.18	16.37	24.62	16.90	9.10	6.86	8.85	11.71	10.45	9.22	11.57
ფსკერული G	1.91	1.98	2.29	4.09	6.16	4.23	2.28	1.72	2.21	2.93	2.61	2.31	2.89
ჯამური, T	9.53	9.90	11.47	20.46	30.78	21.13	11.38	8.58	11.07	14.64	13.07	11.53	14.46

### 3.4.10 მდ. ბახვისწყლის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმე

მდინარე ბახვისწყლის კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე სამელიორაციო სისტემის უბნებზე, დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია ვ. ლაპშენკოვის მონოგრაფიაში „ჰიდროკვანძების ბიეფებში მდინარეთა კალაპოტების დეფორმაციების პროგნოზირება“ (ლენინგრადი, 1979 წ).

აღნიშნული მეთოდის თანახმად კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე იანგარიშება ფორმულით:

$$H_{\text{საშ}} = \left[ \frac{Q_{p\%} \cdot n^{2/3}}{B} \cdot \left( \frac{10}{d_{\text{დან}}} \right)^{0.33} \right]^{\frac{1}{1+2/3 \cdot y}}, \text{ მ}$$

სადაც,

$Q_{p\%}$  - საანგარიშო უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია, ჩვენ შემთხვევაში მდ. ბახვისწყლის 10%-იანი უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯი სამელიორაციო სისტემის კვეთში კვეთში 82.6 მ<sup>3</sup>/წმ;

$n$  - კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტი, რაც ტოლია 0.057-ს;

$B$  - მდგრადი კალაპოტის სიგანეა, რაც დადგენილია „მთის მდინარეების ალუვიურ კალაპოტებში ჰიდროტექნიკური ნაგებობების პროექტირებისას მდგრადი კალაპოტის საანგარიშო მეთოდურ მითითებაში“ მოცემული ფორმულით:

$$B = K \cdot \left( \frac{Q_{10\%}}{\sqrt{g \cdot i}} \right)^{0.4}, \text{ მ}$$

აქ  $K$  - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მასში შეწონილი მყარი მასალის არაერთგვაროვნებას. მისი სიდიდე, დამოკიდებული წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობაზე ( $\mu$  გრ/ლ), აიღება შესაბამისი ცხრილიდან და ჩვენ შემთხვევაში, სპეციალური გათვლებით მიღებულია 2.4-ის ტოლი;



$Q_{10\%}$  - მდინარის 10%-იანი უზრუნველყოფის წლის მაქსიმალური ხარჯი საპროექტო კვეთში, მ<sup>3</sup>/წმ-ში;

$i$  - ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობია საპროექტო უბანზე, რაც ტოლია 0.015-ის;

$g$  - სიმძიმის ძალის აჩქარებაა.

მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეტანით ზემოთ მოყვანილ ფორმულაში მიიღება მდ. ბახვისწყლის მდგრადი კალაპოტის სიგანე საპროექტო უბანზე

$$B = 20.6 \text{ მეტრის ტოლი.}$$

$d_{\text{დალ}}$  - მდინარის კალაპოტის ფსკერზე დალექილი მყარი მასალის საშუალო დიამეტრია.

მისი სიდიდე განისაზღვრება ფორმულით:

$$d_{\text{დალ}} = K \cdot i^{0.9} \cdot \left( \frac{Q_{10\%}}{\sqrt{g}} \right)^{0.4}, \text{ მ}$$

აქ  $K$  - კოეფიციენტია, რომელიც ითვალისწინებს წყლის ხარჯისა და მასში შეწონილი მყარი მასალის არაერთგვაროვნებას. მისი სიდიდე, დამოკიდებული წყალში შეტივტივებული მყარი მასალის რაოდენობაზე ( $\mu$  გრ/ლ), აიღება შესაბამისი ცხრილიდან და ამ შემთხვევაში ტოლია 2.0-ის;

$Q_{10\%}$  - მდინარის 10%-იანი უზრუნველყოფის წლის მაქსიმალური ხარჯია;

$g$  - აქაც სიმძიმის ძალის აჩქარებაა.

აქედან მდ. ბახვისწყლის კალაპოტის ფსკერზე დალექილი მყარი მასალის საშუალო დიამეტრი მიიღება  $d_{\text{დალ}} = 0.17$  მ-ის ტოლი.

$y$  - ნ. პავლოვსკის ფორმულაში შეზის კოეფიციენტის განმსაზღვრელი ხარისხის მაჩვენებელია. მისი სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით:

$$y = 2.5 \cdot \sqrt{n} - 0.13 - 0.75 \cdot \sqrt{R} \cdot (\sqrt{n} - 0.1)$$

სადაც,

$R$  - ჰიდრაულიკური რადიუსია, რაც მდინარეებისთვის საშუალო სიღრმის ტოლია. ჩვენ შემთხვევაში, საპროექტო კვეთის ჰიდრაულიკური ელემენტების ცხრილის მიხედვით

$$R=h=0.5 \text{ მ.}$$

$n$  - აქაც კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტია, რაც ტოლია 0,057-ის;

აქედან  $y = 0.39$ .

მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეყვანით ზემოთ მოყვანილ ფორმულაში მიიღება მდ.ბახვისწყლის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე  $H_{\text{ზაგ}} = 1.9$  მეტრის ტოლი.



კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე მიიღება დამოკიდებულებით:

$$H_{\max} = 1.6 H_{\text{საშ}}$$

მოყვანილი გამოსახულების შესაბამისად, მდ. ბახვისწყლის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე საპროექტო უბანზე ტოლია 3.05 მ-ის.

კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე (3.05 მ) უნდა გადაიზომოს მდ.ბახვისწყლის 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯის შესაბამისი დონის ნიშნულიდან ქვემოთ.

### 3.5 ნიადაგი და ძირითადი ლანდშაფტები

მდ. ბახვისწყლის აუზი შედის კოლხეთის ლანდშაფტური ოლქის აჭარა-გურიის-ერთსართულიანი გორაკ-ბორცვიანი, ტიპობრივი ნესტიანი სუბტროპიკული ჰავით, კარგად განვითარებული წითელმიწა ნიადაგებით და ნაწილობრივ გარდაქმნილი უხვი კოლხეთის ტიპის მცენარეულობით ლანდშაფტური რაიონის შემადგენლობაში. აღსანიშნავია საკვლევი ტერიტორიების ლანდშაფტისთვის დამახასიათებელია მრავალი მცირედებეტანი წყაროების გამოსავლები.

საპროექტო ტერიტორიის განლაგების მნიშვნელოვან ფართზე გაეწერებული ტყის ყომრალი ნიადაგია. მდ. ბახვისწყლის კალაპოტის მიმდებარედ ჭალაში და პირველ ტერასაზე ვიწრო ზოლად გავრცელებულია ალუვიურ-პროლუვიური ნაფენები. ნიადაგ წარმომქმნელ ქანებს ძირითადად წარმოადგენენ ალუვიური ნაფენები, თიხა ფიქლები და მათი გამოფიტვის პროდუქტები.

### 3.6 ბიოლოგიური გარემო

#### 3.6.1 საპროექტო ტერიტორიის ზოგადი ფლორისტული დახასიათება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მცირე კავკასიონის გეობოტანიკური ოლქის აჭარა-გურიის გეობოტანიკურ რაიონში, რომელიც მოიცავს მცირე კავკასიონის დასავლურ ნაწილს (აჭარა, გურია, იმერეთის უკიდურესი სამხრეთ-დასავლური ნაწილი; აღმოსავლეთის საზღვარი მესხეთის ქედზე-მთა მეფისწყაროს მერიდიანზე გადის).

აჭარა-გურიის გეობოტანიკური რაიონის მცენარეული საფარი მთელ საქართველოში გამორჩეულია თავისი სიმდიდრით, მრავალფეროვნებით, რელიქტურობის მაღალი ხარისხით. რაიონის ტერიტორიაზე მკაფიოდაა გამოსახული მცენარეულობის კანონზომიერი ცვალებადობა როგორც ჰორიზონტალური მიმართულებით (ზღვიდან დაშორების კვალად), ისე ჰიფსომეტრიული (ზღ. დ. სიმაღლესთან დაკავშირებით). მცენარეულობის სარტყლიანობის კოლხური ტიპი წარმოდგენილია სამი სარტყლით: ტყის, სუბალპური, ალპური (არაა განვითარებული სუბნივალური სარტყელი).

ტყის სარტყელი მოიცავს მთისწინების ზოლს, მთის ქვემო და შუა სარტყლებს, ზღ. დ. 1800-1850მ-მდე. ამ სარტყლის მცენარეულობა რაიონში ყველაზე უხვი და მრავალფეროვანია.





გაბატონებული ძირეული (ზონალური) ფორმაციების მიხედვით ტყის სარტყელში გამოიყოფა შემდეგი ქვესარტყლები:

- შერეული ფართოფოთლოვანი ტყეების ქვესარტყელი;
- წიფლნარი ტყეების ქვესარტყელი;
- მუქწიწვიანი ტყეების ქვესარტყელი.

**შერეული ფართოფოთლოვანი ტყეების ქვესარტყელი** მოიცავს მთისწინების ზოლს და მთის ქვემო სარტყელს, ზღ. დ. 100-1100მ-მდე. გაბატონებულია პოლიდომინანტური შერეული ფართოფოთლოვანი ტყეები, რომლებიც მრავალი ვარიანტითაა წარმოდგენილი. წამყვანი ტყისშემქმნელი სახეობებია-წაბლი (*Castanea sativa*), წიფელი (*Fagus orientalis*), რცხილა (*Carpinus caucasica*), კოლხური მუხა (*Quercus hartwissiana*), ჭოროხის მუხა (*Quercus dschorochensis*), შავი მურყანი (*Alnus barbata*). შერეულია ცაცხვი (*Tilia caucasica*), ლეკა (*Acer platanoides*), თელამუში (*Ulmus glabra*) და სხვა. ზოგან ტყის კორომებში მონაწილეობს წიწვიანებიც-ფიჭვი (*Pinus kochiana*) და ნაძვი (*Picea orientalis*). გარდა პოლიდომინანტური ფართოფოთლოვანი ტყეებისა, გავრცელებულია მონოდომინანტური და ბიდომინანტური ტყეებიც, კერძოდ-წაბლნარი (*Castanea sativa*), წიფლნარი (*Fagus orientalis*), რცხილნარი (*Carpinus caucasica*), მუხნარი (*Quercus dschorochensis*), წიფლნარ-რცხილნარი, წიფლნარ-წაბლნარი და სხვა. ტყეების დიდი უმეტესი ნაწილი რელიქტურია, რასაც განსაზღვრავს, უწინარესად, კორომებში მძლავრად განვითარებული მარადმწვანე კოლხური ქვეტყე-წყავისაგან (*Laurocerasus officinalis*), შქერისაგან (*Rhododendron ponticum*), ჭყორისაგან (*Ilex colchica*), კოლხური სუროსაგან (*Hedera colchica*) და სხვა. ფოთოლცვენია რელიქტური ბუჩქებიდან ფართოფოთლოვანი ტყეების კორომებში ქვეტყეს ქმნის კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*), იელი (*Rhododendron luteum*) და სხვა. გარდა ჩამოთვლილისა, ტყეების მთავარ იარუსში და ქვეტყეში მეტ-ნაკლები რაოდენობით აღინიშნება ადგილობრივი ენდემები და ვიწრო არეალის სახეობებიც, როგორცაა-უნგერნის შქერი (*Rhododendron ungerii*), სმირნოვის შქერი (*Rhododendron smirnowii*), ეპიგეა ანუ ორფანიდეზია (*Epigaea gaultherioides*), ხურმა (*Diospyros lotus*), ლეღვი (*Ficus carica*), ბუხა (*Buxus colchica*), ჯონჯოლი (*Staphylea colchica*) და სხვა. გაჩეხილი ტყეების ნაალაგევზე, მეტწილად ინვერსიულ დარტაფებში განვითარებულია შქერიაანის (*Rhododendron ponticum*, *Rh. ungerii*) ტევრები. რაიონის შერეული ფართოფოთლოვანი ტყეები მდიდარია ლიანა (ხვიარა) მცენარეებით, გვხვდება ეპიფიტებიც.

**წიფლნარი ტყეების ქვესარტყელი** ვრცელდება ზღ. დ. 100-1100მ-დან 1500-1550მ-მდე (აჭარის ზღვისპირა ნაწილში-სუბალპურ სარტყლამდე). ქვესარტყელში გაბატონებულია წმინდა წიფლნარი (*Fagus orientalis*) და შერეული ტყეები წიფლის სიჭარბით (*Fagus orientalis*) რცხილნარ-წიფლნარი, წაბლნარ-წიფლნარი, სოჭნარ-წიფლნარი და სხვა). წიფლნარების უმეტესობა რელიქტური კოლხური ქვეტყითაა (*Rhododendron ponticum*, *Rh. Ungernii*), წყავით (*Laurocerasus officinalis*), ჭყორით (*Ilex colchica*), კავკასიური სუროთი (*Hedera colchica*), კავკასიური მოცვით (*Vaccinium arctostaphylos*), იელით (*Rhododendron luteum*) და სხვა. წიფლნარების გარდა აღნიშნულ ქვესარტყელში გაბატონებულია შერეული ფართოფოთლოვანი და წიწვიანი ტყეებიც-სოჭნარი (*Abies nordmanniana*), ნაძვნარი (*Picea orientalis*), ფიჭვნარი (*Pinus sosnowskyi*). აჭარაში წიფლნარის ქვესარტყელში სამხრეთის ექსპოზიციის შედარებით მშრალ ფერდობებზე გავრცელებულია ენდემური ჭოროხის მუხის (*Quercus dschorochensis*) მუხნარი ტყე. უტყეო



ადგილებში, მეტწილად ინვერსიულ დარტაფებში განვითარებულია შქერიანის (*Rhododendron ponticum*, *Rh. ungerii*) რაყები.

**მუჭიწვიანი ტყეების ქვესარტყელი** ვრცელდება ზღ. დ. 1500-1550მ-დან 1800-1850მ-მდე. იგი კარგადაა გამოსახული რაიონის მეტწილ ტერიტორიაზე (მდ. აჭარისწყლის ხეობა, მესხეთის ქედის ჩრდილო კალთა). ტყის მცენარეულობის შემადგენლობაში გაბატონებულია ნაძვნარი (*Picea orientalis*), სოჭნარი (*Abies nordmanniana*), ნაძვნარ-სოჭნარი, წიფლნარ-ნაძვნარ-სოჭნარი ფორმაციები. გვხვდება წმინდა წიფლნარი და წიფლის სიჭარბით შერეული წიფლნარ-მუჭიწვიანი ტყის დაჯგუფებებიც. ტყეების დიდი ნაწილი რელიქტური კოლხური (მარადმწვანე, ფოთოლცვენია) ქვეტყითაა. განსაკუთრებით ფართო გავრცელებას აღწევს მუჭიწვიანი ტყეები (ნაძვნარი, სოჭნარი, ნაძვნარ-სოჭნარი) შქერის (*Rhododendron ponticum*), წყავის (*Laurocerasus officinalis*) და კავკასიური მოცვის (*Vaccinium arctostaphylos*) ქვეტყით. ქვესარტყელში გავრცელებულია კოლხეთისა და კოლხეთ-ლაზისტანის ენდემური რელიქტების-მედედევის არყისა (*Betula medwedewii*) და პონტოს მუხის (*Quercus pontica*) ტანბრეცილი ტყეები (ეს ტყეები შესაფერის რელიეფურ პირობებში საკმაოდ ღრმად იჭრება სუბალპური სარტყლიდან ტყის სარტყელში).

**სუბალპური სარტყელი** მოიცავს ზოლს ზღ. დ. 1800-1850მ-დან 2500მ-მდე. რაიონის სუბალპების მცენარეული საფარი ფრიად გამორჩეულია თავისი სტრუქტურული ორგანიზაციით და გენეზისით.

სუბალპური ტყეების შექმნაში ფართო მონაწილეობას ღებულობს მთის ტყის ფორმაციათა მაღალმთიური ვარიანტები-სუბალპური ტანბრეცილი წიფლნარი (*Fagus orientalis*), სუბალპური სოჭნარი (*Abies nordmanniana*), სუბალპური ნაძვნარი (*Picea orientalis*), სუბალპური ფიჭვნარი (*Pinus ksosnowskyi*). შედარებით შეზღუდულია არყნარის (*Betula litwinowii*) და ნეკერჩხლიანის (*Acer trautwetteri*) გავრცელება. სუბალპებში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული პონტოს მუხის (*Quercus pontica*) და მედედევის არყის (*Betula medwedewii*) ტანბრეცილი ტყეები, რომელთა გავრცელების ზემო საზღვარი ზოგჯერ ზღ. დ. 2300-2400მ აღწევს. რაიონის სუბალპური ტყეების რელიქტურობის ხარისხი საკმაოდ მაღალია (რელიქტური ფორმაციებისა და ასოციაციების სიუხვე).

სუბალპურ ბუჩქნარებს შორის რაიონში ფართოდაა გავრცელებული დეკიანი (*Rhododendron caucasicum*), რომელიც გვხვდება ყველა ექსპოზიციის ფერდობებზე, გარდა სამხრეთისა. სხვა ბუჩქნარებიდან გვხვდება რვიანი (*Juniperus pygmaea*, *J. depressa*), მოცვიანი (*Vaccinium arctostaphylos*, *V. myrtillus* და სხვა).

სუბალპური მაღალბალახეულობა გამოირჩევა კოლხური სახეობების სიუხვეით (*Inula magnifica*, *Pyrethrum macrophyllum*, *Telekia apiciosa* და სხვა). დომინირებს პოლიდომინანტური შედგენილობის მაღალბალახეულობა. სუბალპური მდელოები რაიონში ვრცელ ტერიტორიას იჭერს. სჭარბობს მეორეული ნამიკრეფიანი (*Agrostis capillaris*) და ნაირბალახოვან-ნამიკრეფიანი მდელოები. ფართო გავრცელებას აღწევს პოლიდომინანტური მარცვლოვან-ნაირბალახოვანი მდელოებიც, რომლებიც მრავალი ვარიანტითაა წარმოდგენილი. მონოდომინანტური მდელოებიდან, აღნიშნულის გარდა, გვხვდება ნემსიწვერიანი (*Geranium gymnocaulon*), ფრინტიანი (*Anemone fasciculata*), მომცრო ნაკვეთების სახით გვხვდება მიგვიანი (*Nardus glabriculumis*) და სხვა.



**ალპური სარტყელი** რაიონში გამოსახულია ცალკეულ მწვერვალებზე, რომელთა სიმაღლე ზღ. დ. 2500მ-ზე მეტია (საყორნია, ხინო, სანისლო და სხვა). ალპურ მდელოთა შორის გაბატონებულია პოლიდომინანტური მარცვლოვან-ნაირბალახოვანი მდელო. მნიშვნელოვანი ფართობი უჭირავს ნაირმარცვლოვან და ნემსიწვეიან (*Geranium gymnocaulon*) მდელოებს. ჩრდილო ფერდობებზე გავრცელებულია ალპური დეკიანის (*Rhododendron caucasicum*) რაყები.

რაიონის აღმოსავლურ საზღვარზე, კერძოდ არსიანის ქედზე (გოდერძის გადასასვლელის მიდამოები) გვხვდება გამყინვარებამდე აქ არსებული მცენარეების გაქვავებული ნაშთები და ანაბეჭდები, რომლებიც ვულკანურ ტუფებშია მოქცეული.

საპროექტო ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილია მცენარეებისგან თავისუფალ ტერიტორიაზე, რომელიც დიდი ხანია ათვისებული ადამიანის მიერ და გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით.

პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მრავალწლიანი და 8 სმ-ზე დიდი დიამეტრის მქონე ხეების ჭრას. ტერიტორიაზე წარმოდგენილია ერთეული ბუჩქოვანი მცენარეები და დეგრადირებული ბალახოვანი საფარი. წარმოდგენილი ჰაბიტატები არ წარმოადგენს საკონსერვაციო თუ რაიმე სხვა სახის ღირებულებას.

### 3.6.2 საპროექტო ტერიტორიის ზოგადი ფაუნისტური დახასიათება

საპროექტო რაიონის ფარგლებში გავრცელებულია:

**ძუძუმწოვრებიდან გვხვდება:** მურა დათვი (*Ursus arctos*), მგელი (*Canis lupus*), მელა (*Vulpes vulpes*), ფოცხვერი (*Lynx lynx*), კვერნა (*Martes martes*), გარეული კატა (*Felis sylvestris*), დედოფალა (*Mustela nivalis*), წავი (*Lutra lutra*) და სხვა. **ჩლიქოსნებიდან** ხეობაში გვხვდება შველი (*Capreolus capreolus*), იშვიათად გარეული ღორი (*Sus scrofa*). **მღრნელებიდან:** კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*), ჩვ.ძილგუდა (*Glis glis*), ტყის ძილგუდა (*Dromomys nitedula*), ბუჩქნარის მემინდვრია (*Terricola majori*), მცირეაზიური მემინდვრია (*Chionomys roberti*), მცირე თაგვი (*Sylvaemus uralensis*), პონტოს თაგვი (*Apodemus ponticus*) და სხვა.

**ღამურები-ხელფრთიანები:** მურა ყურა (*Plecotus auritus*), ჩვეულებრივი ღამურა (*Vespertilio murinus*), დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrumequinum*), მცირე ცხვირნალა (*Rhinolophus hipposideros*), წვეტყურა მლამიობი (*Myotis blythii*), ტყის მლამიობი (*Myotis nattereri*), მცირე მეღამურა (*Nyctalus leisleri*), ულვაშა მლამიობი (*Myotis mystacinus*) და სხვა.

**ფრინველები:** მიმინო (*Accipiter nisus*), ძერა (*Milvus migrans*), ქორი (*Accipiter gentilis*), ჩვეულებრივი კაკაჩა (*Buteo buteo*), კრაზანაჭამია (ან ირაო) (*Pernis apivorus*), ჩვეულებრივი შავარდენი (*Falco peregrinus*), წითელფეხა შავარდენი (*Falco vespertinus*), ბარი (ან გავაზი) (*Falco cherrug*), მცირე მყივანი არწივი (*Clanga pomarina*), ალალი (*Falco columbarius*), გულიო (ან გვიდონი) (*Columba oenas*), გუგული (*Cuculus canorus*), ტყის ბუ (*Strix aluco*), ალკუნი (*Alcedo atthis*), ღალღა (*Crex crex*), ჩვეულებრივი ხეცოცია (*Sitta europaea*), მინდვრის ტოროლა (*Alauda arvensis*), სოფლის მერცხალი (*Hirundo rustica*), მიმინოსებრი ასპუჭაკა (*Sylvia nisoria*) და სხვა.

**ქვეწარმავლები:** კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*), ბოხმეჭა (*Anguilla colchica*), ქართული ხვლიკი (*Darevskia rudis*), ართვინის ხვლიკი (*Darevskia derjugini*), ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix*



natrix), წყლის ანკარა (*Natrix tessellata*), სპილენძა (*Coronella austriaca*), ესკულაპის მცურავი (*Zamenis longissimus*).

**ამფიბიები:** კავკასიური ჯვარულა და კავკასიური გომბეშო, კავკასიური სალამანდრა (*Mertensiella caucasica*), მცირეაზიური ტრიტონი (*Ommatotriton vittatus*), ჩვეულებრივი ვასაკა (*Hyla arborea*), ტბორის ბაყაყი (*Pelophylax ridibundus*) და მცირეაზიური ბაყაყი (*Rana macrocnemis*), მცირეაზიური ტრიტონი (*Ommatotriton vittatus*).

**უხერხემლოები:** ბაღლინჯო (*Pentatoma rufipes*), ოთხწერტილა სამწიფარა (*Mylabris quadripunctata*), თაღამურას თეთრულა (*Pieris napi*), თეთრულა (*Pieris rapae*), ცისფერა ალცეტასი (*Cupido alcetas*), მოშავო თავმსხვილა (*Erynnis tages*), ნესტის ჭია (*Armadillidium vulgare*), ტუჩფეხიანები (*Lithobius forficatus*), ბუზმორიელი (*Panorpa connexa*), თეთრულები (*Pieris ergane*), ჯარისკაცა ბაღლინჯო (*Pyrrhocoris apterus*), ჭრიჭინა (*Gryllus campestris*), მოკლეფერთიანი ბოლივარია (*Bolivaria brachyptera*), ჭრიჭინასებრნი (*Oecanthus pellucens*) და სხვა.

**ობობები:** Micryphantidae, Linyphiidae, Thomisidae, Theridiidae, Argiopidae, Lycosidae, Clubionidae, Salticidae, Gnaphosidae, Oxyopidae, Pholcidae, Dictynidae, Ulobridae, Mimetidae, Sparassidae და სხვა.

**იქთიოფაუნა:** ნაკადულის კალმახი (*Salmo trutta fario* Linnaeus, 1758)

### 3.6.3 დაცული ტერიტორია

პროექტის განხორციელების რეგიონში ზურმუხტის ქსელის საიტი წარმოდგენილი არ არის.

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია, ქობულეთის ნაკრძალი დაახლოებით 24 კმ-ით სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით არის დაშორებული.

ასევე, უახლოესი დაცული ტერიტორია ზურმუხტის ქსელის უბანი „მტირალა“ დაცილებულია 20 კმ-ზე მეტი მანძილით.



## 4. ზემოქმედების შეფასება

### 4.1 ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე და ადგილობრივ კლიმატზე

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შესაფასებლად გამოყენებული იქნა საქართველოს ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც ადგენს ჰაერის ხარისხის სტანდარტს. ნორმატივები განსაზღვრულია ჯანმრთელობის დაცვისთვის. რადგანაც ჯანმრთელობაზე ზემოქმედება დამოკიდებულია როგორც მანვე ნივთიერებათა კონცენტრაციაზე, ასევე ზემოქმედების ხანგრძლივობაზე, შეფასების კრიტერიუმი ამ ორ პარამეტრს ითვალისწინებს.

**პროექტით არ იგეგმება ბეტონის კვანძის და სხვა ატმოსფერულ ჰაერში ემისიების გაფრქვევის სტაციონალური წყაროების ადგილზე განთავსება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე უარყოფით ზემოქმედებას.**

პროექტის განხორციელების ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება შეიძლება გამოწვეული იყოს მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს საჭირო ტექნოლოგიური/რემონტის ან/და ტრანსპორტის გადაადგილებით. ასეთი სამუშაოების შესრულება მოხდება ძირითადად საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში და მოკლე ვადაში. საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ (500 მეტრის რადიუსში) ატმოსფერული ჰაერში მანვე ნივთიერებათა ემისიის სტაციონარული წყაროები წარმოდგენილი არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ წყალსაცავის მშენებლობის და ოპერირების ეტაპზე მოსალოდნელი ემისიები არ იქნება მნიშვნელოვანი.

ამასთან, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რისკის პრევენციისა და მინიმიზაციის მიზნით კომპანია განახორციელებს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს:

- ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის დაცვა (განსაკუთრებით გრუნტიან გზებზე);
- სიფრთხილის ზომების მიღება (მაგ. დატვირთვა გადმოტვირთვისას დიდი სიმაღლიდან მასალის დაყრის აკრძალვა);
- სამუშაო უბნების და გზის ზედაპირების მორწყვა, ადვილად ამტვერებადი მასალების ტრანსპორტირებისას მანქანების ძარის სათანადო გადაფარვა, ადვილად ამტვერებადი მასალების ქარით გადატანის პრევენციის მიზნით, მათი დასაწყობების ადგილებში სპეციალური საფარის გამოყენება ან მორწყვა;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი, საჩივრების დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.

საპროექტო რეზერვუარის წყლით მაქსიმალური შევსების პერიოდში წყალსაცავის სარკის ფართობი იქნება 1648.5 მ<sup>2</sup>.

პროექტი არ ითვალისწინებს დიდი ზომის რეზერვუარის შექმნას, ასევე, წყალსაცავის ექსპლუატაციას სეზონურობა ახასიათებს, შესაბამისად არ არის მოსალოდნელი აორთქლების და შესაბამისად ჰაერის ტენიანობის მკვეთრი ზრდა და კლიმატის ცვლილება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ატმოსფერულ ჰაერზე და კლიმატზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და არც მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება საჭირო არ იქნება.



## 4.2 ხმაურის გავრცელებით და ვიზრაციით გამოწვეული ზემოქმედება

საქართველოში ხმაურის გავრცელების დონეები რეგულირდება ნორმატიული დოკუმენტით ტექნიკური რეგლამენტი „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“. ხმაურის დონე არ უნდა აღემატებოდეს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ სიდიდეებს.

მშენებლობის ეტაპზე ხმაურის ძირითად წყაროებად ჩაითვალა სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებში, ასევე სატრანსპორტო ოპერაციებისთვის გამოყენებული შემდეგი ტექნიკური საშუალებები:

- 1 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანა (ხმაურის დონე შეადგენს 85 დბა-ს);
- 1 ბულდოზერი (90 დბა);
- 1 ექსკავატორი (90 დბა);

მონაცემების ფორმულაში ჩასმით მივიღებთ მშენებლობისას მოქმედი დანადგარ-მექანიზმების ერთდროული მუშაობის შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამურ დონეს, ანუ ხმაურის დონეს გენერაციის ადგილას:

$$L_{p,i} = 10 \lg \sum_{i=1}^n 10^{0,1L_{p,i}} = 10 \lg (10^{0,1 \times 85} + 10^{0,1 \times 85} + 10^{0,1 \times 90} + 10^{0,1 \times 90} + 10^{0,1 \times 88} + 10^{0,1 \times 87}) = 95,8 \text{ დბა.}$$

ძირითად საანგარიშო წერტილად აღებულია ძირითადი საამშენებლო ობიექტებიდან (წყალსაცავი, სატუმბი სადგური მდინარესთან და რეზერვუართან) უახლოესი საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიის საზღვარზე, რომლის პირდაპირი დაცილების მანძილი, ამ ხმაურის წყაროების განთავსების გეომეტრიული ცენტრიდან, არის შემდეგი:

- უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფელ მშვიდობაური (ნაგომარი)) მდებარეობს 180 მეტრის მოშორებით საპროექტო რეზერვუარიდან სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით.
- სატუმბი სადგურიდან (მდინარესთან მდებარე) უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფელ მშვიდობაური (ნაგომარი)) მდებარეობს ჩრდილოეთით 240 მეტრის მოშორებით, ხოლო რეზერვუარის სიახლოვეს არსებული სატუმბი სადგურიდან მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე შეადგენს 234 მეტრს, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.


**შენიშვნა:** საავტომობილო გზის გადაკვეთის წერტილში, მილსადენი განთავსების ადგილდან უახლოესი საცხოვრებელ სახლი მდებარეობს 20 მეტრის დაშორებით. სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით (უმნიშვნელო დრო და რესურსი) ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს უმნიშვნელოდ. ვინაიდან, სამუშაოები შესრულდება მაქსიმალურად მცირე დროში. ხოლო, ექსპლუატაციის ფაზაზე აკუსტიკური ხმაურით ზემოქმედება ამ უბანზე პროექტით არ განიხილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ობიექტის მშენებლობის დროს მოსახლეობაზე ხმაურის



გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების მნიშვნელოვნება შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.

სქემა 4.2.1 საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური სქემა





ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის ძირითად წყაროს წარმოადგენს სატუმბი დანადგარები და პერიოდული სარემონტო სამუშაოები.

ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების გაანგარიშება ჩატარებულია წინა ქვეთავში წარმოდგენილი ფორმულების გამოყენებით. ექსპლუატაციის ეტაპზე საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილი იქნება განსხვავებული ტიპის ხმაურის წყაროები და შესაბამისად იცვლება ხმაურის დონე გენერაციის ადგილზე.

საპასპორტო მონაცემებით, ცალკეული დანადგარების ხმაურის მაქსიმალური დონე არ აღემატება 90 დბა-ს. ამის გათვალისწინებით, საამშენებლო ნორმებისა და წესების (CHиП) II-12-77 „ხმაურისაგან დაცვა“ მიხედვით, ტერიტორიაზე საწარმოს მუშაობისას ხმაურის ჯამური დონე შეადგენს:

$$10\lg \sum_{i=1}^n 10^{0,1L_{pi}} = L_{p0} + 10\lg n = 90 \text{ დბა} + 10\lg 2 = 90 + 3,0 = 93,0 \text{ დბა.}$$

ექსპლუატაციის შედეგად ხმაურის დაშვებულ ნორმებზე დასახლებული პუნქტების საზღვარზე (როგორც დღის საათებისთვის, ასევე ღამის საათებისთვის დადგენილი ნორმები) გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ უარყოფითი ზემოქმედების რისკებს კიდევ უფრო ამცირებს, ხოლო მოსახლეობაზე ზემოქმედებას გამორიცხავს, შემდეგი გარემოებები, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოები (მითუმეტეს ინტენსიური ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები) იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში;
- ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროების ერთდროული მუშაობა ნაკლებ სავარაუდოა. ასეთ შემთხვევაშიც კი ის არ იქნება ხანგრძლივი პროცესი;
- მშენებლობისას წარმოქმნილი ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება იქნება მოკლევადიანი;
- ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროები განთავსებულია დახურულ სათავსოებში.

ხმაურის ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი ველურ ბუნებაზე, რადგან ტერიტორია დიდი ხანია ათვისებული ადამიანის მიერ, გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და განიცდის ანთროპოგენურ ზემოქმედებას

აღნიშნულიდან გამომდინარე, ობიექტის ექსპლუატაციის დროს მოსახლეობაზე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების მნიშვნელოვნება შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.

#### 4.3 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე, ნიადაგის და გრუნტის დაბინძურების რისკი

საპროექტო-სამშენებლო მოედნის ფარგლებში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე თანამედროვე საშიში გეოლოგიური პროცესების გამოვლენა ან მათ მიერ დატოვებული შეცვლილი ფორმები არ ფიქსირდება. პროექტის ფარგლებში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიხედვით





**სამშენებლო უბანი იმყოფება დამაკმაყოფილებელ პირობებში. ტერიტორია გამოირჩევა მდგრადობის საკმაოდ მაღალი ხარისხით.**

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, გამოკვლეული უბანი, სნ და წ 1.02.07-87 მე-10 დანართის (სავალდებულო) თანახმად მიეკუთვნება I კატეგორიას (მარტივი).

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 8 (რვა) ბალიანი სეისმურობის ზონას (ტექნიკური რეგლამენტი - „სეისმომდეგი მშენებლობა“). - სამშენებლო მოედნის სეისმურობა განისაზღვროს 8 (რვა) ბალით.

საპროექტო რეზერვუარის განთავსება დაგეგმილია ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, რომელიც წლების განმავლობაში გამოიყენებოდა აქტიურად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. რეზერვუარის მოწყობის დროს ნიადაგის და გრუნტის წყლის გაჯერებისგან დასაცავად დამატებით დაგეგმილია წყალგაუმტარი მემბრანის ჩაფენა რეზერვუარში, რაც ასევე დამატებით ზრდის უსაფრთხოებას საპროექტო რეზერვუარის ექსპლუატაციისას. რეზერვუარის ავარიულად დაცლის უზრუნველსაყოფად მის ფსკერზე მოწყობილი იქნება 2 ცალი 30 მეტრის სიგრძის მილი, საიდანაც წყალი ჩაეშვება სადრენაჟე არხში.

სატუმბი და გამანაწილებელი სადგურის ტერიტორიები ასევე, თავისუფალია მცენარეული საფარისაგან და წარმოადგენს ვაკე რელიეფის მქონე ჭალისზედა ტერასას. აღნიშნული ტერიტორიები ამჟამად მდგრადია და არ შეინიშნება რაიმე ტიპის გეოდინამიკური პროცესები, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე რელიეფური პირობების და საპროექტო ნაგებობების სპეციფიკის გათვალისწინებით პროექტის განხორციელებისას უარყოფითი გეოდინამიკური და გეოლოგიური პროცესების განვითარების რისკები მოსალოდნელი არ არის

პროექტის ფარგლებში, ნიადაგის ხარისხზე ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს ნარჩენების არასწორმა მართვამ (როგორც მყარი, ისე თხევადი), საწვავის/საპოხი მასალების შემთხვევითმა დაღვრამ.

საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გვხვდება რეზერვუარის, სატუმბი სადგურის (მდინარესთან) და მილსადენის განთავსების დერეფანში (395 მ მონაკვეთში) 0.15 მ სიმძლავრით. რომელიც მოიხსნება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. ჯამში მოსახსნელი ჰუმუსოვანი ფენის მოცულობა იქნება 443 მ<sup>3</sup>.

მილსადენის დერეფანში ტრანშეის მოწყობის დროს მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა განთავსდება ტრანშეის ერთ მხარეს, ხოლო ამოღებული გრუნტი ტრანშეის მეორე მხარეს. აღნიშნული ტექნიკური გადაწყვეტა გამოწვეულია იმით რომ, ტრანშეის მოწყობის და მილის ტრანშეაში განთავსებას შორის იქნება რამოდენიმე საათიანი პერიოდი. მილსადენის განთავსების შემდგომ მოხდება ტრანშეის გრუნტით შევსება გარკვეულ დონემდე, ხოლო შემდგომ მოხსნილი ჰუმუსოვანი ფენის გაშლა.

საპროექტო რეზერვუარის და სატუმბი სადგურის (მდინარესთან) ტერიტორიებზე მოხსნილი ნაყოფიერი ფენა დროებით განთავსდება სამუშაო პერიმეტრზე იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მნიშვნელოვანი ნალექების მოსვლის შემთხვევაში მისი ხარისხობრივი შენარჩუნება. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ აღნიშნული ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება რეზერვუარის ფერდების რეკულტივაციისთვის.



ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის და რეკულტივაციის სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე არ ხდება საწვავის რეზერვუარის განთავსება და სამშენებლო ტექნიკის საწვავით გამართვა, რაც გამორიცხავს ნიადაგის მასშტაბურ დაბინძურებას, ხოლო რაც შეეხება ტექნიკიდან საწვავის ავარიულ დაღვრას კომპანია უზრუნველყოფს შემდეგ შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას:

- დაზიანების და საწვავის/ზეთის ჟონვის დაფიქსირებისას დაუყოვნებლივ მოხდება დაზიანების შეკეთება;
- პერსონალს ჩაუტარდება ტრენინგი გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებზე;
- დაღვრის შემთხვევაში მოხდება დაღვრილი მასალის ლოკალიზაცია და დაბინძურებული უბნის დაუყოვნებლივი გაწმენდა. პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი საშუალებებით (აბსორბენტები, ნიჩბები, სხვა.) და პირადი დაცვის საშუალებებით;
- დაბინძურებული ნიადაგი და გრუნტი შემდგომი რემედიაციისათვის ტერიტორიიდან გატანილი იქნება ამ საქმიანობისთვის ნებართვის მქონე კონტრაქტორის მიერ.

სამუშაოს დასრულების შემდეგ ყველა პოტენციური დამაბინძურებელი მასალის გატანა ტერიტორიიდან, საწვავის/საპოხი მასალის ავარიულად დაღვრის შემთხვევაში დაბინძურებული უბნის ლოკალიზაცია/გაწმენდა, ნარჩენების სწორი მართვა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელებისას ნიადაგზე ზემოქმედების მნიშვნელოვნება შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.**

#### **4.4 ზემოქმედება წყლის გარემოზე**

პროექტით გათვალისწინებულ მშენებლობის პროცესში წყლის გარემოზე ზემოქმედების ძირითად რეცეპტორს მდ. ბახვისწყალი წარმოადგენს.

სამშენებლო სამუშაოების პროცესში ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გარემოსდაცვითი მენეჯმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე, ასევე, ნარჩენების მართვასა და ტექნიკის გამართულობაზე დაწესებული მონიტორინგის ხარისხზე. აღნიშნული კუთხით ასევე, მნიშვნელოვანია სამშენებლო მოედნის მომიჯნავედ ნიადაგის დაცვა დაბინძურებისაგან. აუცილებელია ზედაპირული ჩამონადენი წყლების ერთ სისტემაში რეგულირება და სპეციალური არხებით მათი უსაფრთხო ადგილას გაყვანა.

ექსპლუატაციის ეტაპზე მდინარე ბახვისწყალზე ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სახით:

- მდინარის დებიტის ცვლილება (ბუნებრივი ჩამონადენის შემცირება);



- ზემოქმედება მდინარის წყლის ხარისხზე (წყლის დაბინძურების ალბათობა).

ექსპლუატაციის ფაზაზე მოსალოდნელია ზედაპირული წყლის ობიექტის ხარჯის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედება იქნება სეზონური (მარტიდან - ოქტომრის ჩათვლით). მდინარიდან წყალაღების კვეთში ჩატარებული ჰიდროენერგეტიკული გაანგარიშების მიხედვით სამელიორაციო სისტემის მიერ ასაღები წყლის საანგარიშო ხარჯმა შეადგინა 140 მ<sup>3</sup>/სთ, რაც უდრის 0.039 მ<sup>3</sup>/წმ და ბევრად ნაკლებია 99% მინიმალურ ხარჯზე (0.48 მ<sup>3</sup>/წმ) და მითუმეტეს ეკოლოგიურ ხარჯზე. ეკოლოგიური ხარჯის ოდენობად განისაზღვრა 0.46 მ<sup>3</sup>/წმ (რაც საპროექტო კვეთში ბუნებრივი 50%-იანი უზრუნველყოფის საშუალო ხარჯის დაახლოებით 10%-ს შეადგენს).

მდინარის წყალაღების წერტილიდან ქვედა ბიეფში პერიოდულად, განხორციელდება გატარებული ეკოლოგიური ხარჯის კონტროლი.

გამომდინარე იქედან, რომ პროექტით არ არის დაგეგმილი მდინარეში წყლის ჩაშვება, რაიმე სახის უარყოფითი ზემოქმედება ამ მხრივ მდინარის წყლის ხარისხზე არ არის მოსალოდნელი.

მშენებლობის ეტაპზე გათვალისწინებულია მდინარის კალაპოტში სპეციალური მილის განთავსება, რომელიც დაუერთდება სატუმბი სადგურის შესაბამის აგრეგატებს. აღნიშნული სამუშაოების განხორციელებისას არ არის გათვალისწინებული მძიმე ტექნიკის გამოყენება. მილის განთავსება გრუნტში და მდინარის კალაპოტში განხორციელდება მუშა პერსონალის მიერ ხელით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ზედაპირული წყლის ობიექტზე უარყოფით ზემოქმედებას. მილის განთავსების დროს არ არის დაგეგმილი მდინარეში რაიმე ტიპის ხელოვნური ნაგებობის აშენება ან მოწყობა, რომელიც ზემოქმედებას იქონიებს მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე და იქტიოფაუნაზე.

სატუმბი სადგურის მუშაობისთვის, რომელიც განთავსდება დაგეგმილია მდინარის მარჯვენა ჭალისზედა ტერასაზე, საწვავის გამოყენება არ მოხდება, სატუმბი იმუშავებს ელექტროენერგიაზე. ამასთან, სიმაღლეთა სხვაობა მდინარის კალაპოტსა და სატუმბის განთავსების ადგილს შორის შეადგენს 3 მ-ს. შესაბამისად, ამ მხრივ მდ. ბახვისწყალზე რაიმე სახის უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევისას გრუნტის წყლები გამოვლინდა მხოლოდ #4 ჭაბურღილში, რომელიც გაიბურღა მდინარესთან, დანარჩენ საკვლევ ტერიტორიაზე დაძიებულ სიღრმემდე გრუნტის წყლები არ ფიქსირდება. პროექტის ტექნიკური გადაწყვეტის გათვალისწინებით ღრმა წყალშემცველი ჰორიზონტების გადაკვეთა არ მოხდება და გრუნტის წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

სამშენებლო მოედნის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შეგროვება მოხდება საასენიზაციო ორმოში, რომელიც პერიოდულად გაიწმინდება შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანმიმართული გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების პირობებში, წყლის გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელოვნება, შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, მთლიანობაში შეიძლება შეფასდეს როგორც „დაბალი“.



#### 4.5 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

საპროექტო საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია მაღალი ანთროპოგენური ზემოქმედების მქონე ტერიტორიებზე, რომელიც წლების განმავლობაში გამოიყენებოდა აქტიურად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მრავალწლიანი და 8 სმ-ზე დიდი დიამეტრის მქონე ხეების ჭრას. ტერიტორიაზე წარმოდგენილია ერთეული ბუჩქოვანი მცენარეები და დეგრადირებული ბალახოვანი საფარი. მათგან არცერთი არ წარმოადგენს საკონსერვაციო თუ რაიმე სხვა სახის ღირებულ სახეობას. შესაბამისად, ამ მხრივ ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც ძალიან დაბალი.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიები ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებით, ცხოველთა ველური ბუნების სახეობების საბინადრო ჰაბიტატები პრაქტიკულად არ არსებობს. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ შეიძლება მოხვდეს მხოლოდ ის სახეობები, რომლებიც ადაპტირებული არიან გარემოსთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორია სრულად შემოსაზღვრულია ხის ღობით და დაცულია ცხოველების ტერიტორიაზე მოხვედრისგან.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ტერიტორიის მიმდებარე პერიმეტრის სიახლოვეს ხეებზე ფრინველთა ბუდეები დაფიქსირებული არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის მასშტაბის გათვალისწინებით, როგორც მშენებლობის ისე ექსპლუატაციის პროცესში, ცხოველთა სახეობებზე ზემოქმედების რისკი მინიმალურია.

პროექტის განხორციელების ადგილის ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება საჭირო არ იქნება.

დაგეგმილი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

- მშენებლობის ფაზაზე ორმოები, ტრანშეები და შემოზღუდულ უნდა იქნას რაიმე წინააღმდეგობით ან მკვეთრი ფერის ლენტით, ცხოველების შიგ ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად. აგრეთვე, ორმოებში ღამის საათებში ჩადგმული იქნას ფიცრები, მასში შემთხვევით მოხვედრილი ცხოველების ამოსვლის გასაიოლებლად, ხელოვნური შუქის მინიმალური გამოყენება სინათლის გავრცელების შემცირების მიზნით;
- სპეც/ტექნიკიდან ნავთობპროდუქტებისა და სხვა ნივთიერებების დაღვრის პრევენციული ღონისძიებების გატარება;
- ნარჩენების სათანადო მენეჯმენტი.

პროექტის განხორციელების რეგიონში ზურმუხტის ქსელის საიტი წარმოდგენილი არ არის. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია, ქობულეთის ნაკრძალი დაახლოებით 24 კმ-ით სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით არის დაშორებული. ასევე, უახლოესი დაცული ტერიტორია ზურმუხტის ქსელის უბანი „მტირალა“ დაცილებულია 20 კმ-ზე



მეტი მანძილით. გამომდინარე აღნიშნულიდან, პროექტის განხორციელება დაცული ტერიტორიების ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

#### 4.6 ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება

ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შეფასება მეტ-ნაკლებად სუბიექტურ ხასიათს ატარებს. შეფასების კრიტერიუმებად აღებულია ზემოქმედების არეალი და ხანგრძლივობა, ასევე, ლანდშაფტის ფარდობითი ეკოლოგიური ღირებულება.

სამშენებლო სამუშაოების პერიოდში მცირე დროით (მაქსიმუმ 180-190 დღე) სავარაუდოდ ადგილი ექნება გარკვეულ ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებას: სატრანსპორტო ნაკადების ზრდის, სამშენებლო მოედნების, მომუშავე ტექნიკის და ხალხის, მშენებარე კონსტრუქციების, სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების არსებობის გამო.

მშენებლობის ფაზაზე ზემოქმედების შემცირების მიზნით მოხდება დროებითი კონსტრუქციების, მასალების და ნარჩენების ისე განთავსება, რომ ნაკლებად შესამჩნევი იყოს ვიზუალური რეცეპტორებისთვის.

ექსპლუატაციის ფაზაზე, საპროექტო ტერიტორიაზე გაშენდება მოცვის მრავალწლიანი ნარგავები, სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ განხორციელდება სარეკულტივაციო სამუშაოები, რაც პირიქით დადებითი ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილების მომტანი იქნება.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის და მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი.

#### 4.7 ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება

პროექტის ფარგლებში, მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლებელია წარმოიქმნას საყოფაცხოვრებო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენი.

2019 წლის 30 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილების (N 661) მიხედვით „ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულების რეგულირები ს წესის შესაბამისად, 2025 წლის 1 იანვრამდე ფიზიკური ან იურიდიული პირი თავისუფლდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების ვალდებულებისაგან, თუ იგი ახორციელებს სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2016 წლის 28 ივლისის №10 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალით გათვალისწინებულ ან სხვა საქმიანობას და წლის განმავლობაში წარმოქმნის 120 კგ ან ნაკლები ოდენობის სახიფათო ნარჩენს.“ ამ საკითხის გათვალისწინებით, ვინაიდან გათვალისწინებული არა არის 120 კილოგრამზე მეტი სახიფათო ნარჩენის წარმოქმნა მკვ „ნაგობერი 1“ აღნიშნული პროექტის ფარგლებში თავისუფლდება „ნარჩენების მართვის გეგმის“ მომზადებიდან.

ექსკავირებული გრუნტი არ განიხილება ინერტულ ნარჩენად, რადგან იგი სრულად იქნება გამოყენებული უკუყრის სამუშაოებისთვის და რეზერვუარის დამზის მოსაწყობად.



შერეული საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილ იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, შესაბამისი სამსახურის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

ასევე, შესაძლებელია განხილული იყოს სპეციალური ტექნიკიდან და ა/ტრანსპორტიდან ავარიულად დაღვრილი საპოხი მასალების და საწვავის მართვის დროს წარმოქმნილი ნარჩენებიც. სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკის და სამშენებლო ტექნიკის ოპერირების შეფასების საფუძველზე და ნარჩენების მართვის შესაბამისი შემარბილებელი და მონიტორინგული ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ზემოქმედებები შეფასდეს როგორც უმნიშვნელო გარემოს კომპონენტებზე.

პროექტის ორივე ფაზაზე დაგეგმილია ნარჩენების სეპარირებული მართვა და შესაბამისი მონიტორინგის განხორციელება.

სახიფათო ნარჩენების მართვის კუთხით რისკები მინიმალურია, რაც ძირითადად დაკავშირებულია სპეც/ტექნიკის ექსპლუატაციასთან - არ დაიშვება გაუმართავი ტექნიკა სამუშაო მოედანზე

